# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 12 თებერვალი 1999 №24 (797) | ფასი 50 თეთრი


3

## კალაძემ მილანი დააშამათა



კახი მეორე ქართველია, „სან სიროზე“ გოლი რომ გაიტანა

4

## პიზის კოშკიდან დანახული მეორე ჯგუფი

ამ დღეებში ბებერ კონტინენტს ამხანაგურ შეხვედრათა, კიდევ ერთმა, უქართველებო ტალღამ გადაუარა



8

## სიეტლი უსტეფანიოდ...

უსახურ „გოლდენ სტეიტს“ ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლმა“ დიდი ჯანი შეალია, ქართველი კალათბურთელი კი ამჯერად მოწმის როლს დასჯერდა

8

## კალათბურთში სამოსანი ფრიადოსანია

დინამოელი გიორგი ნიკოლაძე მეთოთხმეტე ტურის რჩეულია

# პაატა გვასალია: დავბრუნდი!

90-იანი წლების დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულმა ამბებმა ბევრ ქართველ სპორტსმენს ააკრეფინა გუდა-ნაბადი და უცხოეთს შეაფარებინა თავი. იქ ბიჭებს საუკეთესო პირობები შეუქმნეს და ათასგვარ ტურნირებში მოპოვებულმა ოქრო-ვერცხლმა საქართველოს ნაცვლად საბერძნეთში, თურქეთში, რუსეთში და ვინ იცის, კიდევ რომელ ქვეყანაში, დაიდო ბინა.

მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოდან გადახვეწილები სხვათათვის ღვრიდნენ ოფლს, ალალად გეტყვით და, მათი წარმატებები მაინც მიხაროდა, მერე კი წამით წარმოვიდგენდი: „გაქცეულებს“ და აქ დარჩენილებს, ერთად, საქართველოს სახელით რომ ეასპარეზათ, ვინ იტყვის, რამდენჯერ აღიმართებოდა ჩვენი ქვეყნის დროშა და რამდენჯერ აჟღერდებოდა „დიდება“.

ამას წინათ, მოკრივე კობა გოგოლაძის გაპროფესიონალების ამბავი რომ გამცნეთ, იქვე ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივნის ემზარ ზენაიშვილის კომენტარიც შემოგთავაზეთ, მაშინ ბატონმა ემზარმა ერთი კარგი ამბავიც გვითხრა — სულ მალე რუსეთიდან პაატა გვასალია დაგვიბრუნდება და კანდელაკისა და გოგოლაძის გარეშე დარჩენილ საქართველოს მოკრივეთა ნაკრებს ლიდერადაც მოევლინებაო. ერთი პირობა ვიფიქრე: ბატონ ემზარს რამე ხომ არ ეშლება, გვასალია, რა ხანია, რუსეთის მოქალაქეა, მოსკოვში ჩინებულად გრძნობს თავს და აქ აღარ ჩამოვა-მეთქი. მაგრამ ზენაიშვილის ინფორმაცია უტყუარი გამოდგა — პაატა გვასალია სამშობლოს დაუბრუნდა და ამიერიდან საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს ღირსებას დაიცავს. ერთი სიტყვით, გადახვეწილთაგან ერთი უკვე დაგვიბრუნდა, ღმერთმა ინებოს, სხვებმაც გვასალიას მიბაძონ და მერე კი, მართლაც რეალურია ოლიმპიურ ოქროზე ფიქრი.

პაატა ამჟამად თბილისშია და, აბა, ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდით, შევეხმიანეთ თუ არა, უყოყმანოდ დაგვთანხმდა ინტერვიუზე, ეგ კი არა, თავად გვეწვია რედაქციაში და საკმაოდ გულახდილი საუბარი გამოგვივიდა:

იხილეთ მეათე გვერდი

### პაატა გვასალია

დაიბადა 1973 წლის 29 იანვარს ფოთში
საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი ახალგაზრდებში
1990 ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში
1993 ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი
1994 კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი
1997 მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი
1998 კეთილი ნების თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი
რუსეთის ხუთგზის ჩემპიონი
1998 რუსეთის საუკეთესო მოკრივე



# ქართველ მსაჯს არძინბა დაესმარა

## სეზონისწინა ტესტირება სხვადასხვა მიზეზით ხუთმა მსაჯმა ვერ ჩააბარა



შილაკაძე — ტრავმირებულ დოლიძეს: ერთ ბედს ქვეშა ვართ, ზურავ, მე და შენ...

მსაჯობა — მარადიული საფეხბურთო პრობლემა. მსაჯები — ათასი მარცხის თუ მოგების მიზეზნი. რამდენი ფეხბურთელი სიამოვნებით ნახავდა მათ გუშინდელ გამოცდებს. გუშინ ისინი არ იყვნენ მსაჯულები, მათ სხვები სცდიდნენ და სჯიდნენ. მკაცრ ტესტირებას ყველამ როდი გაუძლო, პირველი ჯგუფის ხუთი მსაჯი მარტში ხელახლა, მეორეჯგუფელებთან ერთად უნდა გავიდეს გამოცდაზე, ხოლო თუ მაშინაც ვერ დაიმშვენეს „მატრიკული“, ეგებ საშემოდგომოც გამოჰყვეთ. გამოცდის ჩაბარება მარტო ჩაჭრილებს არ გაძნელებიათ — გულრიფშელი გოჩა ცირდავა, მსაჯობის უფლება ხელახლა რომ მოიპოვა, გამოტყდა, რომ გამიჭირდა, თვალწინ არძინბა წარმომიდგა, და უკანმოუხედავად მომაკურცხლინაო.

იხილეთ მეორე გვერდი

# ქართველ მსაჯს არძინბა დაეხმარა

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ ერთი კარგი სიახლე დანერგა წელიწადში ოთხჯერ მსაჯებს ფიზიკური მომზადების ნორმატივების ჩასაბარებელი ტესტების გავლა მოუწევთ, რათა ჩემპიონატისა თუ თასის მატჩებს მზადყოფნაში შეხვდნენ. 1 თებერვლიდან სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკომ პირველი ჯგუფის მსაჯები მოიწვია და თბილისში ათდღიანი შეკრება მოაწყო.**



**ამ ხნის** განმავლობაში მათ სპეციალური სემინარები ჩაუტარდათ, გარდა ამისა, მივლინებული იყვნენ საკონტროლო მატჩებზე, გუშინ კი ეროვნულ სტადიონზე ტესტირება გაიარეს. არბიტრებს ორ-ორჯერ 7,5 წამში უნდა დაეფარათ 50 მ, მერე 200 მ — 32 წამში, შემდეგ კი მსოფლიოში ფართოდ დანერგილი კუპერის ტესტი უნდა ჩაებარებინათ, ანუ 2700 მეტრი 12 წუთში გაერბინათ.

ავად თუ კარგად, მსაჯებმა წარმატებით გაართვეს თავი გამოცდას. ბევრს ფინიშთან კი გაუჭირდა, მაგრამ მაინც შეძლო მისი გადალახვა. აფხაზეთიდან დევნილმა გოჩა ცირდავამ ისიც თქვა, ბოლოს, სირბილის თავი რომ აღარ მქონდა, წარმოვიდგინე, ვითომ არძინბა მუქარით მომდევდა და მეც მოვკურცხლეო. მხოლოდ რამდენიმემ ვერ შეასრულა ნორმატივები, ზოგს ფიზ-მომზადებამ უმტყუნა, ზოგს ჯანმრთელობამ, ორი მსაჯი დაშავებული იყო და ტრიბუნიდან გულშემატკივრობდა კოლეგებს. სულ ხუთმა, თამაზ ლორთქიფანიძემ, ზურაბ დოლიძემ, ალექსანდრე შილაკაძემ, ნუგზარ რუსიშვილმა და თემურ მაჭარაძემ ვერ მოიპოვეს თებერვლიდანვე მსაჯობის უფლება. მილჩენკოს თქმით, მათ 8-9 მარტს მიეცემათ კუპერის ტესტის ჩაბარების შესაძლებლობა.

მსაჯები შეკრებით და მზადებით კმაყოფილი იყვნენ, თუმცა ჩიოდნენ ფსიქოლოგიურად მოუმზადებელნი ვართ და დატვირთვებიც დიდიაო. ტესტირების შესახებ აზრის გამოთქმა რამდენიმე მათგანს ვთხოვეთ. თამაზ ლორთქიფანიძე: „ამ სიახლეს გამართლებულად მივიჩნევ, მაგრამ წელიწადში ოთხჯერ ძალიან ბევრია. ვფიქრობ, ორჯერ — პირველი და მეორე წრის წინ — სავსებით საკმარისი იქნება." გურამ ასკაროლლი: „მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ფედერაციის ხელმძღვანელებს. ნამდვილად კარგი შეკრებაა, პირობებიც იდეალური გვაქვს. დღეში დაახლოებით ოთხი საათი თეორიულ მეცადინეობას ეთმობა, გარდა ამისა, ვარჩევთ სადავო ეპიზოდებს. ასე რომ, მეორე წრისთვის საკმაოდ ნაყოფიერად მოვემზადეთ. რაც შეეხება ფიზიკურ მზადყოფნას, ვთვლი, რომ ათ დღეში მომზადება შეუძლებელია. თითოეული მსაჯი ძირითადად შინ უნდა მოემზადოს, მარტო შეკრებით ფონს გასვლა შეუძლებელია. ჩემი დღევანდელი ფორმით კმაყოფილი კი ვარ, მაგრამ თავს მეტ მოთხოვნებს ვუყენებ და იმედია, სეზონის განახლებამდე უკეთ მოვემზადები." ოთარ გუნთაძე: „ასეთი ტესტების ჩატარება აუცილებელია და ყოველი წრის წინ უნდა გვცდიდნენ. ამას თვით ფიფა და უეფა ითხოვენ. მე, როგორც ფიფას არბიტრს, ორ წელიწადში ერთხელ ისედაც მიწევს ამ ნორმატივების ჩაბარება. ამას სხვა ქართველი მსაჯებიც თუ გააკეთებენ, უკეთესი იქნება, რადგან შემდეგ ფიფაში ტესტირების გავლა უფრო გაუიოლდებათ. ასეთი შეკრების მოწყობა ძალიან დაგვეხმარება."





ოთარ გუნთაძე — ანატოლი მილჩენკოს: კმარა, თორემ, ხომ ხედავთ, ხალხს გული მისდის

ბოლოს ბატონ ანატოლი მილჩენკოსაც გავესაუბრეთ: „თუ არბიტრებმა კვალიფიკაცია არ აიმაღლეს, ისე ვერც ფეხბურთის დონე ამაღლდება. ხოლო მსაჯობის გასაუმჯობესებლად ასეთი შეკრებების მოწყობა და ტესტების ჩატარება აუცილებელია. ჩვენ მსაჯებს ამჯერად მინიმალური მოთხოვნები წავუყენეთ, შემდგომ კი მათ უფრო გავამკაცრებთ. თანაც ახლა ყველა ასაკის არბიტრს ერთნაირად ვუტარებთ გამოცდას. მომავალში ასე აღარ მოვიქცევით, მათ ასაკობრივ ჯგუფებად დავყოფთ და შესაბამისადაც მოვთხოვთ. მათ, ვინც ტრავმა მიიღო ან ნორმატივი ვერ ჩააბარა, 8-9 მარტს მეორე ჯგუფის არბიტრებთან ერთად მივცემთ გადაბარების შანსს. ისე მინდორზე ვერავინ გავა. ამ შეკრებამ დამანახა, რომ საკმაოდ კარგი ახალგაზრდები გვყავს, მათთან სწორად თუ ვიმუშავებთ, თამამად შემიძლია ვთქვა, საქართველოს უმაღლესი კლასის მსაჯები ეყოლება."

ასე რომ, შეკრებით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა, მსაჯებიც და ფედერაციაც. მაგრამ მთავარი ის არის, კმაყოფილნი იქნებიან თუ არა კლუბები და ქომაგები სეზონის დასრულების შემდეგ. წინასწარ რაიმეს თქმა ცოტა ძნელია, თუმცა ფედერაციის ეს ნაბიჯი ნამდვილად მისასალმებელი და გასახარია. მით უმეტეს, მსაჯთა დიდ ნაწილს აღარც ახსოვდა, როდის გაიარა ბოლოს ასეთი ტესტირება.

და ერთიც. მართალია, მსაჯთა გამოცდა საკმაოდ მკაცრად ჩატარდა, მაგრამ ორგანიზატორები კურიოზს მაინც ვერ აცდნენ. როცა ერთ-ერთ არბიტრს კუნთი დაეჭიმა, საგანგებოდ წინასწარ მოყვანილ სასწრაფო დახმარების ექიმებს სთხოვეს, როგორმე გავუყინოთო, მაგრამ ტრავმატოლოგების ნაცვლად მოსულმა თერაპევტებმა გაიკვირვეს, არც გასაყინი საშუალება გვაქვს და არც კუნთის გაგვეგება რამეო.

**ვანო ოქროპირიძე**

# მერანი უდავითნიძეოდ! უდავითაშვილოდაც?

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე ორ კვირაში დაიწყება. მანამდე კი გუნდები მონდომებით ემზადებიან, ზოგი — ჩემპიონობისთვის, ზოგი — ევროტურნირებზე მოსახვედრად, ზოგი კი — პირველ ჯგუფში დასარჩენად.

„მერანმა" წინა სეზონი მეშვიდე ადგილზე ჩაამთავრა, წრეულს ჯერჯერობით მეცხრეა. რა მიზანი აქვს მას ახლანდელ ჩემპიონატში, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, შარშანდელს მერე გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დააკლდა და მისი მთავარი ამოცანა ახლა ჯგუფში დარჩენაა, რაც, ალბათ, ძალიან არ უნდა გაუჭირდეს.

წლეულს გუნდიდან წასულ ფეხბურთელებს ორი წამყვანი მოთამაშე — გიორგი დავითნიძე და სულიკო დავითაშვილიც დაემატა.

დავითნიძის შესახებ არაერთხელ ითქვა და დაიწერა: რუსეთის ჩემპიონატის დაწყებისთანავე იგი იაროსლავლის „შინიკის" მაისურს მოირგებს, სადაც ერთი წლის განმავლობაში ითამაშებს. თუმცა იგი კვლავ „მერანის" საკუთრება იქნება, ყოველ შემთხვევაში, ასე გადაწყვიტეს ორივე კლუბის პრეზიდენტებმა. კონტრაქტის დანარჩენ წვრილმანებსაც ისინი დააზუსტებენ.

ბულგარეთში ხელმოცარული დავითაშვილი კი ახლა ჰოლანდიაში ცდის ბედს, სადაც ერთ-ერთ კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებას. თუმცა მისი იქ დარჩენა-არდარჩენის საკითხი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა.

„მერანის" შემადგენლობაში ნამატიცაა: საბერძნეთიდან დაბრუნებული დავით კარიაული, პირველ წრეში „სამგურალში" ნათამაშევი დავით ჭელიძე და „ოდიშის" ახალგაზრდა თავდამსხმელი ლევან თოლორდავა. სხვა მხრივ კი „მერანი" ნორმალურ პირობებში ვარჯიშობს და სამეორეწრეოდ ემზადება.

**დავით სიმონია**

# მრისხანე ნაცნობი მეტალურგები

## ქუთაისის ტორპედოს ჭიჭველაშვილის სპარტაკიც მიაყოლეს

**მოსკოვის** „სპარტაკი" ისრაელში გადის შეკრებას. გუნდს თან ახლავს ჩვენებური დავით ჭიჭველაშვილი, რომელიც ნელ-ნელა იმკვიდრებს ადგილს ძირითად შემადგენლობაში. რუსეთის ჩემპიონებმა ერთი საკონტროლო მატჩიც გამართეს ჩვენთვის ნაცნობ მარიუპოლის „მეტალურგთან". ეს ის „მეტალურგია", ამას წინათ ანთალიაში მყოფი ქუთაისის „ტორპედო" 3:0 რომ დაამარცხა. უკრაინელებმა თურქეთიდან აღთქმულ მიწაზე გადაინაცვლეს და ჭიჭველაშვილის „სპარტაკი" ქუთათურთა გზას გაუყენეს. 2:0 — ასე დამთავრდა მატჩი. არადა, მოსკოველთა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა ურიგო შემადგენლობა როდი დაუპირისპირა მარიუპოლელებს. პარფიონოვი, მილიოშინი, რობსონი, შირკო „სპარტაკის" ძირითად ბირთვს შეადგენენ. მათ გვერდით მთელი 90 წუთის განმავლობაში დავით ჭიჭველაშვილიც გაისარჯა, მაგრამ რად გინდა... მატჩის შედეგი ყველაფერზე მეტყველებს.

**ხვიჩა სანიკიძე**

# კიდევ შეაჩერებენ ფოცხვერიას?

**როგორც** ჩანს, უკრაინული დონეცკის „შახტიორის" მთავარმა მწვრთნელმა ვალერი იარამჩენკომ გაჯიქება პოზიციების დათმობა ამჯობინა. საქმე საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრ მიხეილ ფოცხვერიას ეხება.

იარამჩენკოსა და ფოცხვერიას „შეხმატკბილებული" ურთიერთობა რომ აქვთ, არახალია. საქართველოში დაბადებულ და ორი წლის ასაკში უკრაინაში ოჯახით საცხოვრებლად გადასულ ფოცხვერიას სისხლმა უყივლა. არჩევით უკრაინა ან საქართველო უნდა აერჩია. მიშამაც დაუფიქრებლად ძირძველი სამშობლო ამჯობინა. ეს კი დონეცკელებს და განსაკუთრებით ვალერი იარამჩენკოს არ ესიამოვნა. „შახტიორის" მწვრთნელმა ფოცხვერიას, როგორც ფეხბურთელის, ზრდას ხელი შეუშალა — მას ძირითადში თამაშს არა და არ ანებებდა, სათადარიგოთა სკამზე ჰყავდა გამწესებული, თქმით კი იმას ამბობდა, ფოცხვერია მჭირდება, არსად არ გავუშვებ, კონტრაქტით ჩვენთან იქნება, სანამ ვადა არ ამოიწურებაო. იმ დროს მიშას თავდასხმაში კონკურენტი ჰყავდა — სერგეი ატელკინი. მისი იტალიურ „ლეჩეში" წასვლის მერეც ვერ ეღირსა ფოცხვერია მინდორზე გასვლას. რამდენჯერმე შეცვლაზე შესვლა და ერთი-ორჯერ ძირითადში მოხვედრა — აი, ამით ამოიწურა ყველაფერი. თუმცა არც ამას შეუშლია ხელი ფოცხვერიასთვის, ნაკრებში თავი გამოეჩინა. მისი დარი ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელი დღეს ხომ თითებზე ჩამოსათვლელია ჩვენში. ასეა თუ ისე, ფოცხვერია „შახტიორს" ვერ დაეხსნა, თუმცა რა დახსნა, იარამჩენკომ, მგონი, მას მოწყალე თვალით გადმოხედა.

დონეცკის „შახტიორმა" უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მოსამზადებლად, ცხადია, უცხოური შეკრებები არჩია. ამას როგორღაც ქართული კლუბები ახერხებენ და უკრაინელებს რატომ უნდა გასჭირვებოდათ.



მიხეილ ფოცხვერია

ჰოდა, ინეტერნეტში, „შახტიორის" სერვერში, ჩვენთვის სასიამოვნო ამბებს წავაწყდით. მეშახტეები თავიდან ისრაელში იმყოფებოდნენ შეკრებაზე, ფიზიკურადაც მოღონიერდნენ და საკონტროლო შეხვედრებიც ბლომად გამართეს. აქ კი გაიხსენა ვალერი იარამჩენკომ ქართველი წინა ხაზელი და „შახტიორის" თავდასხმის ხაზი ჩვენი ნაკრების მეტოქე ლატვიელ ლეგიონერთან, ანდრეი შტოლცერსთან ერთად ანდო. მიშამაც გაამართლა, გოლი გოლზე გაჰქონდა და ატელკინის წასვლის შემდეგ იარამჩენკოს საყვარელი ფეხბურთელი მიხეილ ნაგორნიაკიც კი ამოაგდო შემადგენლობიდან.

აღთქმულ მიწაზე „შახტიორმა" 6 საკონტროლო მატჩი გამართა, რომლებშიც ფოცხვერიამ 3 ბურთი გაიტანა. მიშას მონაგარი ასეთი გახლდათ: „შახტიორი" — „მაკაბი" (ფეთაჰ თიკვა) 2:1 (შეუცვლელად ითამაშა); „შახტიორი" — „ჰაპოელი" (თელ ავივი) 2:3 (შეუცვლელად ითამაშა და ორივე ბურთიც თავად გაიტანა); „შახტიორი" — ისრაელის ახალგაზრდული ნაკრები 2:4. როცა უკრაინელებმა თანამემამულე მარიუპოლის „მეტალურგი" 3:2 დაამარცხეს, მიშამ თავი ვერაფრით გამოიჩინა, ხოლო თელ ავივის „მაკაბისთან" 4:0 მოგებულ მატჩში იარამჩენკომ ჩვენებური არ ათამაშა. აი, ინგლისურ „მიდლსბროს" კი „შახტიორმა" 65-ე წუთზე ფოცხვერიას ერთადერთი გოლის წყალობით 1:0 მოუგო.

ამის მერე უკრაინელები გერმანიაში გადაბარგდნენ, სადაც ბუნდესლიგის „ნიურნბერგთან" 0:2 დამარცხდნენ. ჩვენებური პირველი ტაიმის შემდეგ ანდრეი შტოლცერსმა შეცვალა. ზეგ „შახტიორი" ასევე ბუნდესლიგელ „მიუნხენ 1860"-ს გაეჯიბრება, გერმანიის შემდეგ კი ფოცხვერია და კომპანია კუნძულ კვიპროსზე გაივლიან შეკრებას. ამასობაში უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრეც დაიწყება.

მიხეილ ფოცხვერია „შახტიორში" ათამაშდა, რაც უპირველეს ყოვლისა ეროვნული ნაკრების მწვრთნელ ვლადიმერ გუცაევის წისქვილზე ასხამს წყალს. ფოცხვერიასი ხომ მას ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრებიდან მოყოლებული სჯერა. ფოცხვერია „შახტიორს" დაუბრუნდა, ეგებ საქართველოს ნაკრებსაც დაუბრუნდეს.

**გიორგი ვაშაკიძე**

ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

# ნაადრევი რევისი: იალტა — სამტრედია

წინა „სარბიელებში“ დროდადრო გაწვდიდით ინფორმაციას ვიქტორ იურკოვსკის სახელობის იალტაში მიმდინარე ტურნირის შესახებ. ამ გათამაშებისადმი ჩვენი ინტერესი გასაგებიც გახლავთ — მასში ხომ სხვებთან ერთად სამტრედიის „იბერიაც“ მონაწილეობს.

ახლა დაწვრილებით ამ შეჯიბრების შესახებ: ტურნირი წრიული სისტემით მიმდინარეობს და მასში შვიდი გუნდი მონაწილეობს. ესენია: „პრიკარპატია“ (ივანო ფრანკოვსკი), „ნივა“ (ვინიცა) „იბერია“ (სამტრედია), „ოლისია“ (ჟიტომირი), „ტავრია 2“ (სიმფეროპოლი), „კრივბასი 2“ (კრივოი როგი) და სამოყვარულო ლიგის ლიდერი „დანიკა“ (სიმფეროპოლი).

ფინალი 14 თებერვალს უნდა გაიმართოს, მაგრამ უკვე ნათელია — იმერულ კლუბს იქ ვერ ვიხილავთ. სამტრედიელებმა ხომ დღემდე შეხვედრათა უმეტესობა უკვე გამართეს და მეტად საშუალო შედეგი მოიმკეს: ერთი მარცხი, ორი ფრე და ერთიც გამარჯვება.

ტურნირი, როგორც გაუწყეთ, მარცხით დაიწყეს იბერიელებმა — ივანო ფრანკოვსკის „პრიკარპატიამ“ 2:1 მოუგო ჩვენებურებს, ვინიცის „ნივასთან“ და ჟიტომირის „ოლისიასთან“ მატჩები ფრედ 0:0 დაამთავრა „იბერიამ“, მოგებით კი „კრივბას 2“-ს მოუგო 3:1.

ამ მატჩში იმერელთაგან გოლები ვასილ გიგიაძემ (3) და ქველაძემ გაიტანეს. დღეს „იბერია“ იალტაში თავის ბოლო შეხვედრას ჩაატარებს და მისი მეტოქე არამარტო სამოყვარულო ლიგის, იურკოვსკის ტურნირის ლიდერიც, სიმფეროპოლის „დანიკა“ იქნება.

დღემდე ბოლო შეხვედრა სამტრედიელებმა 10 თებერვალს გამართეს „ოლისიასთან“. მატჩი, როგორც ვთქვით, 0:0 დამთავრდა. „იბერიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ვარდანიძე, ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, თოდუა, ვარდიაშვილი, ქველაძე, ი. გიგიაძე, ვ. გიგიაძე, ასათიანი, მუმლაძე, გიორგაძე. შეცვლაზე ივეჩიანი და ლურსმანაშვილი შევიდნენ.

„დანიკასთან“ შეხვედრის შემდეგ სამტრედიელები საქართველოს გამოემგზავრებიან და 13 თებერვალს უკვე მშობლიურ ქალაქში იქნებიან.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



გურამ ცისკარიშვილის ფოტო

# ნუ გააბრაზებთ კახა კალაძეს!

იანვრის ბოლოს თანამეგობრობის თასის დაკარგვის შემდეგ კიევის „დინამომ“ იტალიას მიაშურა და აპენინებზე განაგრძო მზადება, მზადება დიდი ომის წინ. დიახ, ფეხბურთის ქომაგებს კარგად მოგეხსენებათ, რომ მარტში უკრაინის ჩემპიონები ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მადრიდის „რეალს“ შეებრძოლებიან. ლობანოვსკიმ საამმატჩოდ ადრიანად დაიჭირა თადარიგი და სოლიდური შეკრებებიც დაგეგმა.

გუშინწინ კიეველები „სან სიროზე“ ამხანაგურად გაეჯიბრნენ იტალიისა და ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „მილანს“. კახი კალაძის თანაგუნდელები არ შეეპუვნენ ვარსკვლავთა გუნდს და 2:1 მოუგეს. უკრაინის ჩემპიონებმა გამარჯვება მატჩის 90-ე წუთზე, ჩვენებურის ულამაზესი საჯარიმოთი მოიპოვეს. თუმცა ნუ ავჩქარდებით და ნელ-ნელა მივყვეთ შეხვედრის მსვლელობას.

ლობანოვსკიმ მინდორზე საბრძოლო შემადგენლობა გაიყვანა, თუმცა თავდამსხმელი რებროვი მეორე ტაიმისთვის შემოინახა. კახი კალაძეს მარცხენა მცველის ფუნქცია დააკისრა. რაც შეეხება „მილანის“ შემადგენლობას, მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმაც ძირითადის მოთამაშეებს უხმო. ოღონდ მატჩი ამბროზინის, ციგეს და ვეას გარეშე დაიწყო.

პირველ ოც წუთში კიეველები შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ და „მილანის“ დაცვას მოსვენება დაუკარგეს. ანგარიში კი მე-11 წუთზე გაიხსნა. კოსოვსკის ჩაწოდებულ ბურთზე ხაცკევიჩმა მახვილი კუთხიდან თავური დაარტყა. ბურთი მინდორზე შეხების შემდეგ შორეული ძელიდან ბადეში გაეხვია.

ყურადღების ცენტრში კი შევჩენკო გახლდათ. „დინამოს“ ლიდერი ხომ ახლახანს „მილანმა“ შეიძინა. „სან სიროზე“ მისულმა იტალიელმა ტიფოზებმა უკრაინული პლაკატი გადაფინეს — „ალერსით მიგიღებთ, ანდრიუ!“ ახალგაზრდა შევჩენკო [illegible] ხშირად გაურბოდა თვალი ტრიბუნებისკენ და აღელვებულმა ვერ შეძლო, ჩვეულად გაებრწყინა, უფრო გულშემატკივრების გულის მოსაგებად თამაშობდა.

პირველი ტაიმის შუაგულში ლობანოვსკის შეგირდებს ცოტა დაღლა დაეტყოთ და დაისაჯნენ კიდეც. 24-ე წუთზე მეკარე შოვკოვსკიმ უხერხულად მოიგერია შორეული დარტყმა და იანუციმ ანგარიში გაათანაბრა. ეს ის იანუცია, ამ ზამთარს მილანელებმა „ლაციოდან“ 3 წლით რომ გადაიბირეს.

შეხვედრის მეორე ნახევარში გუნდების მიერ განხორციელებული ორი შეცვლა უნდა აღინიშნოს — კარდაშის მაგივრად რებროვის მინდორზე შეშვება და ლიბერიელი ვეას იანუცის ნაცვლად გამწესება. ორივე მონდომებულად ჩაერთო თამაშში, განსაკუთრებით კი მილანელთა ზანგი ვარსკვლავი აქტიურობდა. მისი გუნდი აშკარა უპირატესობას დაეუფლა. არც დინამოელები იყვნენ გულხელდაკრეფილი, მაგრამ, შეტევათა დაგვირგვინებისას კიეველები აშკარად სცოდავდნენ...

ვეა არ ცხრებოდა. მატჩის ერთ ეპიზოდში სამი მცველი გააბითურა და საჯარიმოში შესულმა ოდნავ მაღლა დაარტყა. გაბითურებულთაგან ერთ-ერთი კალაძე იყო. ვეამ კახის ფეხებშუა გაუტარა ბურთი. ჩვენებურმა გულში წყენა ჩაიდო და თანდათან შეტევებში ჩართვაზეც დაიწყო ფიქრი. მარცხენა ფლანგზე მისი სახიფათოდ გაჭრისას კოსოვსკის რომ ეყოჩაღა, კიეველები კვლავ დაწინაურდებოდნენ. შემდეგ რებროვი საჯარიმო დარტყმით დაემუქრა მილანელთა კარს, მაგრამ როსიმ ბურთი მოიგერია.

90-ე წუთზე რებროვი საჯარიმოს მისადგომებთან წააქციეს. ამჯერად კალაძემ ითავა ჯარიმის შესრულება. კახიმ ოსტატურად დაარტყა, ბურთი კედელს გადაევლო და ცხრიანში აღმოჩნდა. ერთ წუთში მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა. კალაძე დავით ყიფიანის მერე პირველი ქართველია, ვინც „სან სიროზე“ გაიტანა.

გუშინ კიევის „დინამო“ კიდევ ერთ საკონტროლო მატჩს ატარებდა. დინამოელები „მილანის“ ფარმ-კლუბს, სერია „B“-ს ბინადარ „მონცას“, ეპაექრებოდნენ.

**ხვიჩა სანიკიძე**

# დინამოს უფულობამ ხუჯაძე უშანსოდ დატოვა

გუშინწინ ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე ბელგიას აბარგებულ თბილისის „დინამოს“ ახალშემატებული შალვა ხუჯაძე არ გაჰყოლია. გუნდმა მცველები ზურაბ არჩვაძე და ფოთის „კოლხეთიდან“ გადასული ილო ქუტიძეც ვერ იახლა.

შალვა ხუჯაძემ თანაგუნდელების თბილისში დარჩენის მიზეზი ვერ გვითხრა. რაც შეეხება თავად მას, ფეხბურთელი „დინამოში“, ალბათ, ვერ ითამაშებს.

მოგეხსენებათ, ხუჯაძე ადრე ქუთაისის „ტორპედოში“ ასპარეზობდა. გასულ ზაფხულს მისი „ტორპედოდან“ წასვლის შემდეგ ხუჯაძის ფრანგულ „მონპელიეში“ შესაძლო ტრანსფერზე ალაპარაკდნენ. ყველასათვის მოულოდნელად კი შალვა უკრაინაში, ტერნოპოლის „ნივაში“ აღმოჩნდა. სწორედ „ნივამ“ გადაიხადა „ტორპედოს“ მიერ მოთხოვნილ ხუჯაძის ტრანსფერში 35 000 დოლარი. მერე ფეხბურთელი უკრაინაში ბურთაობდა, თუმცა სულ მალე წამოვიდა და ჩვენს ჩემპიონ „დინამოს“ მოაშურა. ზემოთ გითხარით, შალვა „დინამოში“, ალბათ, ვერ ითამაშებსო. ამის მიზეზი თავად „ნივაა“. უკრაინელები ფეხბურთელში იმდენს ითხოვენ, რამდენიც ხუჯაძეში „ტორპედოს“ თავად გადაუხადეს — 35 000 დოლარი მოგვეცით და თავისუფალიაო. ისიც უცნობია, დათანხმდებიან თუ არა უკრაინელები კონტრაქტის ამოწურვამდე მის განათხოვრებას.

ასევე თანხის გადაუხდელობის გამო ვერ გადაიბირა „დინამომ“ თავდამსხმელი ლევან ბერიშვილი. მოზირის მპკც ხომ არც მეტი არც ნაკლები 30 000 დოლარს ითხოვდა.

ასეა თუ ისე, შალვა ხუჯაძის ოფიციალურ დინამოელობას უკრაინელები ეწინაალმდეგებიან. როგორც თავად ფეხბურთელმა გვითხრა, ამ საკითხს ერთ კვირაში მოეფინება ნათელი. შესაძლოა ტერნოპოლელები ნახევარი წლით განათხოვრებასაც დაყაბულდნენ.

აქვე „დინამოს“ ბელგიურ გეგმებზეც გეტყვით. ჩემპიონები ოთხ საკონტროლო მატჩს 16, 18, 21 და 23 თებერვალს გამართავენ. მეტოქეებად კი ბელგიური გუნდები „;ქართული“ „რასინგ მეხელენი“, „ვესტერლო“, „ლომელი“ და „აალტსი“ შეიგულეს. „ლომელი“ კვლავ გადაეყრება ქართულ კლუბს, მოგეხსენებათ ბელგიელები ზაფხულში ინტერტოტოზე „ტორპედოს“ შეეტოქნენ და დაამარცხეს ორი მატჩის ჯამში. მაშინ „ტორპედოელებს“, დღეს კი დინამოელებს ირაკლი ვაშაკიძეს და პაატა ჯინჭარაძეს შანსი აქვთ, ბელგიელებზე რევანში აიღონ, აი ხუჯაძე კი უშანსოდ დარჩა.

**გიორგი ვაშაკიძე**

# საქართველო ირანი დღე მეორე

**საქართველო 2:1 ირანი**

**1:0 ტყავაძე (33), 1:1 ქემალი (33), 2:1 ზოიძე (34)**

ისლამური რევოლუციის ოცდამეერთე წლისთავზე, აიათოლა ჰომეინის თანამემამულეებმა მეორე ამხანაგური შეხვედრა გამართეს საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებთან. თუმცა ქართველ მობურთალთა „არასაამხანაგურო“ მონდომებამ სტუმართა ამაღლებულ საზეიმო განწყობას ცივი წყალი გადაასხა (ცივი შხაპი ირანელებს მატჩის შემდეგ სპორტის სასახლის გასახდელშიც ელოდა). უგოლოდ დასრულებული პირველი ნახევრის შემდეგ გულშემატკივარი უშეღავათო, სწრაფი და ლამაზი თამაშის მოწმე გახდა. ახლახანს საბერძნეთიდან დაბრუნებული ბუბა ტყავაძის გოლით ქართველები რამდენიმე წამს ლიდერობდნენ — ცენტრიდან ბურთის თამაშში შეყვანას ქემალის საპასუხო გოლი მოჰყვა. პასუხი ასეთი არ უნდაო და ბესო ზოიძემ მაშინვე მეორედ დაამწუხრა სტუმრები. ორ ამხანაგურ შეხვედრაში დამარცხებით გამოწვეულ სევდას (მატჩის ბოლოს სულ თავში წაიშინეს ირანელებმა ხელები) სტუმრები დღეს გაიქარვებენ. ისინი აბანოთუბანს მოივლიან და მეჩეთში ლოცვასაც აღასრულებენ. მათი მასპინძლები კი გუშინ საღამოსვე დაადგნენ ესპანეთის გზას. საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრები ხვალ და ზეგ პირინეის ნახევარკუნძულზე ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

**პაატა ქვანტალიანი**



ირანელებს გადამწყვეტი გოლი ბესიკ ზოიძემ (№18) გაუტანა

ბადრი [illegible] ფოტო

# მეჰელენი იგებს, ჩალაძეს გააქვს

ბელგიის ჩემპიონატის მესამელიგელ „რასინგ მეხელენში“ ლამის მთელმა შარშანდელმა თბილისის „დინამომ“ მოიყარა თავი და ამდენად, „სარბიელის“ მკითხველისთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება, რასა იქმს ქართველებით სავსე „რასინგ მეჰელენი“.

მეორე წრე ბელგიის მესამე ლიგაში 17 იანვარს დაიწყო და მეორე წრის პირველივე ტურში „რასინგ მეხელენს“ ლიგის ლიდერ „ტინენთან“ მოუხდა სტუმრობა. სამწუხაროდ, ჩვენი ლეგიონერების გუნდი ვერ გაუმკლავდა მასპინძელთა შეტევებს და 1:3 დამარცხდა.

მომდევნო ტურში, 24 იანვარს, „რასინგ მეხელენმა“ „კერმტს“ უმასპინძლა და უგოლო ფრეს დასჯერდა. ამ მატჩებზე ბევრიც არაფერია სათქმელი, მაგრამ ქართველთა კლუბს მეორე წრის პირველი ტურები რომ ჩაუვარდა, აშკარაა.

„რასინგ მეხელენმა“ ვერც 31 იანვარს, მეჩვიდმეტე ტურში ივარგა. იგი მეტად და მეტად საშუალო „ეუპენთან“ დამარცხდა გასვლაზე 0:1 და საგრძნობლად გაიუარესა თავის ლიგაში პირველი ადგილის მოპოვების შანსი.

შედარებით იღბლიანად დაიწყეს თებერვალი მეხელენელებმა. 7 თებერვალს მათ ამჟამად მეთერთმეტე ადგილზე მყოფი „დისტი“ იწვიეს თავის მინდორზე და 2:1 დაამარცხეს მეტოქე. ამ შეხვედრაში ერთი საყურადღებო და სასიამოვნო ფაქტიც მოხდა — მასპინძელთაგან ორივე ბურთი დავით ჩალაძემ გაიტანა.

ამ დროისთვის „რასინგ მეხელენი“ მეორე ადგილზე იმყოფება და ლიდერ „ტინენს“ სამი ქულით ჩამორჩება (თუმცა „ტინენს“ ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული) — 18 მატჩი და 36 ქულა, ასეთია ჩვენი ლეგიონერების კლუბის მონაგარი. მესამე ადგილზე მყოფ „ჰაზდენს“ 35 ქულა აქვს და მაშასადამე, ერთი ქულით ჩამორჩება „რასინგ მეხელენს“.

წინ კიდევ თორმეტი ტურია. ასე რომ, „რასინგ მეჰელენს“ ჯერაც შეუძლია „ტინენთან“ ექვსქულიანი პასივის გაბათილება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

EURO 2000
ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

## VI ჯგუფი

### კვიპროსი 4:0 სან მარინო

1:0 მალანარკიტისი (18), 2:0, 3:0 კონსტანტინუ (32, 45), 4:0 ხრისტოდულუ (88)
კვიპროსი: პანაიოტუ, თეოდოტუ, კრისტოდოპულო, იუაკიმი, ჩარალმბუსი, პიტასი, მელანარკიტისი, სპოლიარიჩი, გოგიჩი (იოანუ 80), კონსტანტინუ (ოკასი 80), მალეკოსი (არისტოკლეუსი 89)
სან მარინო: გასპერონი, გენარი, მარანი (ვანუჩი 84), გობი, ვიტორიო, გუერა, ზონზინი, დელა ვალე (მანზაროლი 70), უგოლინი (ბაკიოჩი 46), მულარონი, სელვა.

ჯგუფური ტურნირის დაწყებამდე აუტსაიდერად მიჩნეულმა კვიპროსის ნაკრებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა და 9 ქულით პირველ ადგილზე აინაცვლა. არადა, ჯგუფში ისეთი მრისხანე გუნდები არიან, როგორიც ესპანეთი, ავსტრია ან თუნდაც ისრაელია.

შარშან შინ ესპანელების მძლეველი კვიპროსელები სან მარინოს ნაკრებს აშკარად სჯობდნენ და ეს ანგარიშშიც აისახა. რომ არა სტუმართა მეკარის, ფედერიკო გასპერონის კარგი თამაში, მასპინძლები გაცილებით დიდი სხვაობით გაიმარჯვებდნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კვიპროსი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| ისრაელი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:3 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| სან მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:14 | 0 |

უახლოესი მატჩები. 27 მარტი. ესპანეთი — ავსტრია; 28 მარტი. ისრაელი — კვიპროსი

## VIII ჯგუფი

### მალტა 0:3 იუგოსლავია

0:1, 0:2 ნადი (22, 55), 0:3 მილოშევიჩი (90)
მალტა: ბარი, რაიდი, ტერნერი, სპიტერი, კამილერი (სიქსმიტი), რუტიგი, ბუზუტილი, სალიბა, კარაბოტო, ნვოკო (კუტაიარი), აგიუსი (ბენჩინი)
იუგოსლავია: კრალი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი, იოკანოვიჩი, ჯუკიჩი, იოვან სტანკოვიჩი (ტომიჩი), ზორან სტანკოვიჩი, მიატოვიჩი, კოვაჩევიჩი (მილოშევიჩი), დეიან სტანკოვიჩი (გროზდიჩი), მიჰაილოვიჩი

მალტის ეროვნულმა გუნდმა ჯგუფში ზედიზედ მეხუთედ წააგო. ამჯერად მისი მარცხი მოსალოდნელი იყო, იუგოსლავია ხომ შემდეგ ეტაპზე გასვლის უპირობო ფავორიტია.

შეხვედრა სტუმართა უპირატესობით დაიწყო და ასეც დამთავრდა, თუ არ ჩავთვლით პირველი ტაიმის მიწურულს, როდესაც მალტელები გააქტიურდნენ და ჯერ ჯილბერტ აგიუსს, შემდეგ კი კარმელ ბუზუტილს შეეძლოთ გოლის გატანა. ხოლო მანამდე ანგარიში გაიხსნა — მეტოქის საჯარიმოში იუგოსლავიელთა ფორვარდი ალბერტ ნადი შეიჭრა, გზად ყველა მოატყუა და საკმაოდ ლამაზი გოლიც გაიტანა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა საბოლოოდ დათმეს თამაში. ამით ჯერ იმავე ნადიმ ისარგებლა და თავით მეორე ბურთი შეაგდო, მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი სავო მილოშევიჩმა გაასამა და მალტელთა თავკაცს, თანამემამულე იოჟიფ ილიჩს სულ გაუფუჭა ხასიათი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:1 | 6 |
| მაკედონია | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 2:18 | 0 |

უახლოესი მატჩები: 27 მარტი. მაკედონია — ირლანდია; იუგოსლავია — ხორვატია



მალტა — იუგოსლავია 0:3. სტუმარი დარკო კოვაჩევიჩი (№9) საჰაერო ბრძოლებში ტრადიციულად შესანიშნავი იყო

# პიზის კოშკიდან დანახული მეორე ჯგუფი

EURO 2000
ჩვენი ჯგუფი

ამ დღეებში ბებერ კონტინენტს ამხანაგურ შეხვედრათა, კიდევ ერთმა, უქართველებო ტალღამ გადაურა. დიდნი და პატარანი თამაშზე მორიგდნენ, დაწყვილდნენ და მოახლოებული ოფიციალური მატჩების წინ წაივარჯიშეს, საკუთარ ავ-კარგზე ერთხელაც შეიქმნეს აზრი.

ევრო 2000-ის მეორე შესარჩევი ჯგუფის სამმა გუნდმა მოსინჯა ბოლოხანს ძალა. ნორვეგიამ იტალიაში ითამაშა, ალბანეთმა მაკედონიას უმასპინძლა, ხოლო სლოვენია ომანს ეწვია, სადაც შვეიცარიისა და მასპინძლების ნაკრებებს გაუწია სპარინგპარტნიორობა.

მეორე შესარჩევი ჯგუფი სწორედ ის გახლავთ, რომელშიც საქართველოს ეროვნული გუნდი ასპარეზობს და ჩვენი ყურადღებაც ამიტომ შევაჩერეთ მის სხვა წევრებზე.

მეტოქიდან თუ კონტექსტიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად იტალიელთა და ნორვეგიელთა მატჩი ხმაურობდა. ჩვენც მასზე საუბრით დავიწყოთ: პიზის „გარიბალდის" სტადიონზე გამართული ეს შეხვედრა სანახავად დიდი ვერაფერი გამოდგა, მაგრამ ბრძოლა და ძალ-ღონის ხარჯვა იცოცხლეთ იმდენი იყო. ეტყობა ნორვეგიელები ფიქრობდნენ, რომ ლიად ბურთაობაში გაცილებით ტექნიკურ მოწინააღმდეგეს ვერაფერს დააკლებდნენ და ამიტომაც მარწუხების მოჭერაზე ააგეს თამაში. სავარაუდოა, რომ ჩრდილოელები ჩვენს ნაკრებთან შეხვედრის წინაც ამასვე იფიქრებენ და შესაბამისად თბილისსა თუ ოსლოში სივრცეების უკიდურესად შეზღუდვას უნდა ველოდოთ. ამაში კი, როგორც პიზაშიც გამოჩნდა, ისინი გაწაფული ოსტატები გახლავან. ნორვეგიელ მოთამაშეებს კუნთის ძალა და გამძლეობა ნამდვილად არ აკლიათ, ხოლო მტკიცე დისციპლინის წყალობით ურთიერთდაზღვევა ერთობ ხელეწიფებათ. ამრიგად, ჩვენი მომავალი მეტოქის შემყურე ადამიანს, უპირველესად, თვალში მოწინააღმდეგის თამაშის ჩაშლის ცოდნა ხვდება. რაც შეეხება გოლის გატანას, სკანდინავიელებს ის იმდენად გამომგონებლობაზე არ აქვთ აწყობილი, რამდენადაც მაღალ პასსა და თავურზე. ცხადია ამას გარდა რამდენიმე კომბინაციაც შეინიშნება, რომელთა დაგვირგვინებაც, იტალიაში, „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელს, ოლე გუნარ სოლსკიაერს ევალებოდა.

აქ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: სოლსკიაერს და მის თანამემამულეებს პიზაში, ალბათ, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი დაცვა უწევდა წინააღმდეგობას — კრისტიან პანუჩი, ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა და პაოლო მალდინი. ასე, რომ ნორვეგიელთა უგოლობა მათი უუნარობით არამც და არამც არ უნდა აიხსნას.

ვგონებთ, არ უნდა მოგვატყუოს იმანაც, რომ 90 წუთის განმავლობაში ჩრდილოელებმა გამართულ კომბინაციას ვერ მოაბეს თავი. თავშივე აღვნიშნეთ, რომ მატჩი ორივე მხრიდან ბურთის წართმევისთვის ბრძოლას დაეთმო და ამიტომ დაწყობილ პასთა სიუხვით ვერც ერთი მხარე გამოირჩა და ვერც მეორე.

კიდევ ერთი: შეხვედრის პირველ წუთებში თვალშისაცემი გახლდათ იტალიელთა დიდოსტატის, რობერტო ბაჯოს ჩინებული თამაში. ვარსკვლავმა ჯერ დელვეკიო შეიყვანა სტუმართა მეკარესთან პირისპირ, ცოტა ხანში კი ჯარიმა გააზერხა და იქიდან ბურთი ძელს მოარტყა, მაგრამ მერე ფეხბურთელთა სიმრავლეში ჩაიკარგა. რატომ? ნუთუ თავად იყო მიზეზი? ვეჭვობთ, რომ მიზეზი ნორვეგიელთა ალღო გახლდათ. მათ უმალ იგრძნეს საფრთხე და მისი ამოშანთვის ხერხსაც მიაგნეს.

ამასობაში კი ალბანელები ტირანაში მაკედონიელებს მასპინძლობდნენ. ალბანეთი ის გუნდია, რომელიც იქნებ თვით გერმანიასაც კი უჩენს თავსატეხს, მაგრამ საქართველოსთან მარცხდება. აქამდე ასე იყო და დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც ასე მოხდება, თუმცა ამაზე დანდობას საკუთარ თავს არ ვურჩევთ და ერთ გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას: მაკედონიელებს ალბანელებმა 2:0 რომ მოუგეს, ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა. რას ნიშნავს ეს? ვისაც სჯერა, რომ შესვენებაზე მწვრთნელს თავისი ფეხბურთელების მოქმედებაში კორექტივის შეტანა შეუძლია, ალბანელთა მეორე ტაიმის გოლებს სწორედ ამ ფაქტორს მიაწერს, ხოლო ვისთვისაც ასეთი რამ წარმოუდგენელია, მისთვის ზემოხსენებული გარემოება შემთხვევითობაა ან სხვა რამითა არის გამოწვეული, ვთქვათ უმჯობესი ფიზიკური მომზადებით. ერთიც: ალბანეთის ნაკრებმა მეორე გოლი 90-ე წუთზე შეაგდო. ნურც ქართველები დავივიწყებთ, რომ თამაში საათნახევარს გრძელდება.

სლოვენთა ომანური ტურნირი კი ორი შეხვედრისგან შედგებოდა. პირველ მატჩში ჩვენი ნაკრების უახლოეს მოწინააღმდეგეს შვეიცარიელებმა მოუგეს 2:0, მეორეში კი სლოვენიის ნაკრებმა ომანთან იმარჯვა, თან ისტორიაში უდიდესი ანგარიშით — 7:0. სლოვენიური გაზეთები ამ გამარჯვებას ყურადღებას იმიტომაც აქცევდნენ, რომ მას ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი დასწრებია. ბლატერმა საკუთარი თვალით იხილა, რომ ის ქვეყანა ვართ, ომანის მსგავსებს 7:0-ს რომ ვუგებთო, სიამოვნებით აღნიშნავდნენ ჩვენი ლიუბლიანელი კოლეგები. ნუ გაგვეცინება, ამ მოსაზრებაშიც უნდა იყოს თავისებური, მაგრამ სალი მარცვალი.

**მიხეილ სურგულაძე**



იტალია — ნორვეგია 0:0. ოტო ბრაგსტადი (მარჯვნივ) რობერტო ბაჯოს მეურვეობს

REUTERS მასალებიდან



სლოვენია — შვეიცარია 0:2.

### ამხანაგური მატჩები

**იტალია 0:0 ნორვეგია**

იტალია: პერუცი, პანუჩი (ტორიჩელი 46), კანავარო, ნესტა, მალდინი, ძამბროტა (ტოტი 61), დ. ბაჯო (კოისი 46), ალბერტინი, დი ფრანჩესკო, რ. ბაჯო (კიეზა 80), დელვეკიო
ნორვეგია: მირე, პეგემი, იონსენი, ბრაგსტადი, ბერგდოლმო, რუდი, მიუკლანდი, სოლბაკენი (სტრანდი 66), რეკდალი, ჰ. ფლო (რისეტი 74), სოლსკიაერი (კარეუ 90)

**ალბანეთი 2:0 მაკედონია**

1:0 ვატა (48), 2:0 ბოგდანი (90)
ალბანეთი: სტრაკოშა (ბექაი 82), პინარი, დალიპი (მერკოცი 74), ჯუმბა, ვატა, იუპი (დაბულა 65), ალთინ ჰაჯი, ბუში, კოლა (ბოგდანი 80), ჰალილი (მუკა 46), ტარე

**სლოვენია 0:2 შვეიცარია**

0:1 ჰოდელი (8), 0:2 კომიზეტი (17)
სლოვენია: სიმეუნოვიჩი, გალიჩი (ვულაიჩი 68), მილანიჩი, კნავსი, დომინკო (ს.გაისერი 46), ჩეპი (სიპოტი 74), პავლინი, რუდონია, ზაჰოვიჩი, ოსტერცი, უდოვიჩი (აჩიმოვიჩი 46)

**სლოვენია 7:0 ომანი**

1:0 ოსტერცი (8), 2:0 გაისერი (26), 3:0, 4:0 ოსტერცი (72, 82), 5:0 ზაჰოვიჩი (87), 6:0 ოსტერცი (89), 7:0 უდოვიჩი (90)
სლოვენია: დაბანოვიჩი, ს. გაისერი, მილანიჩი (სიპოტი), ბულაიჩი, კნავსი (გალიჩი), რუდონია, ჩეპი (მიტრაკოვიჩი), აჩიმოვიჩი (პავლინი), უდოვიჩი, ზაჰოვიჩი, ოსტერჩი



ალბანეთი — მაკედონია 2:0. მაკედონიელი მილკო სტოკოვსკი ალბანელების არიან ჯუმბასა და მაჰირ ჰალილის ჩამოტოვებას ცდილობს

# ათი მსოფლიოს ჩემპიონი და ანელკა

### ინგლისი 0:2 საფრანგეთი

0:1, 0:2 ანელკა (69, 76)

ინგლისი: სიმენი (მარტინი 46), დიქსონი (რ. ფერდინანდი 72), ადამსი, კიოუნი (სქოულზი 86), ლე სო, ბექემი, ინსი, რედნაპი (უილკოქსი 86), ანდერტონი, ოუენი (კოული 64), შირერი

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, დესაი, ბლანი (ლებეფი 46), ლიზარაზუ, დეშამპი (კანდელა 90), პეტი, ზიდანი, პირესი (დიუგარი 46), ჯორკაეფი (ვიეირა 84), ანელკა (ვილტორდი 84)

საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონია და ინგლისთან „უემბლიზე" ჩატარებულ მატჩში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შარშან „სტად დე ფრანსზე" გამართულ ფინალში ბრაზილიასთან 3:0 დამსახურებულად გაიმარჯვა.

„ეს ისტორიული მატჩი იყო" — თქვა „ლურჯების" მწვრთნელმა როჟე ლემერმა. მართლაც, ოთხშაბათის შეხვედრამდე ფრანგებს ლა მანშს გაღმა ინგლისისთვის ერთხელაც ვერ მოეგოთ. სტუმრები მასპინძლებს ერთი თავით სჯობდნენ. ბრიტანელები მხოლოდ თამაშის დასაწყისში გამოიყურებოდნენ კარგად, შემდეგ კი მინდორზე მხოლოდ ერთი გუნდილა იყო, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. ფრანგებს ყველაფერი გამოსდიოდათ, თითოეული მათგანი საუკეთესოდ ირჯებოდა და „ისტორიული გამარჯვებაც" ამის შედეგია. ლემერმა ძირითად შემადგენლობაში ათი მსოფლიოს ჩემპიონი დააყენა, მეთერთმეტე კი „არსენალის" ნიკოლა ანელკა იყო. სწორედ „მეთოფეთა" თავდამსხმელის ორ ზუსტ გასროლას მოჰყვა ორი გოლი ინგლისის კარში.

„თითქოს სიზმარში ვარ. ჯერ კიდევ არ მჯერა, რომ დუბლი გავახერხე, თუმცა გოლის გატანის უდიდესი სურვილი მატჩის დაწყებისთანავე მქონდა. მინდოდა, ინგლისელები დაგვემარცხებინა და ბრიტანული პრესა, რომელიც ბოლო დროს ძალიან მაკრიტიკებს, გამეჩუმებინა. ბედნიერი ვარ, რომ ეს მოვახერხე. ახლა, იმედია, რამდენიმე თვის განმავლობაში ჩემზე ცუდს აღარაფერს დაწერენ" — უთხრა ფრანგ ჟურნალისტებს მატჩის გმირმა, რომელიც, ალბათ, სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს ლონდონურ „არსენალს". მისი საკუთარ გუნდში ხილვის სურვილი „მარსელისა" და „ბარსელონას" პრეზიდენტებს ჰქონიათ.

„მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ვამბობდი, რომ ანელკა დიდი ფეხბურთელი გახდებოდა. ახლა საჭიროა, რომ ქებამ მასზე უარყოფითად არ იმოქმედოს და თავში არ აუვარდეს" — ემანუელ პეტი თავის თანაკლუბელს ძალიან კარგად იცნობს.

„ანელკა? მშვენიერი ფეხბურთელია! მინდორზე მისი დონის მოთამაშის პოვნა იოლი საქმეა. ამიერიდან საფრანგეთის ნაკრებსაც ჰყავს მსოფლიო კლასის ცენტრფორვარდი" — კომპლიმენტები არ დაიშურა ოქროს ბურთის მფლობელმა ზინედინ ზიდანმა.

მართალია, ანელკამ ორი გოლი გაიტანა, მაგრამ სხვებმაც მასზე არანაკლებ კარგად ითამაშეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ზიდანი, ჯორკაეფი, ლიზარაზუ და დესაი არიან. როჟე ლემერს მართლაც უძლიერესი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი ჰყავს: „ჩვენი ნაკრების ტალანტმა, ტექნიკურობამ და თამაშის წორად წარმართვის ცოდნამ თავისი გაიტანეს და ინგლისიც დამარცხდა. პირველი ტაიმის დასაწყისში ცოტა გაგვიჭირდა, ბარტეზსაც რამდენიმე ძნელი ბურთის მოგერიებამ მოუწია, მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. შეიძლება ითქვას, რომ გამარჯვებაში ეჭვი არც შემპარვია."

და ინგლისელები?

ინგლისელები თავის მართლებას მატჩის დაწყებამდე შეუდგნენ. „თუ მოვიგეთ, მსოფლიოს ნამდვილი ჩემპიონები ჩვენ ვიქნებით, თუ არადა, ეს ხომ უბრალოდ ამხანაგური შეხვედრაა" — თქვა ინგლისის ნაკრების პრესატაშემ.

„ყველაზე მეტად მათმა პასიურობამ გამაკვირვა" — განაცხადა „არსენალის" ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა.

„ისინი მსოფლიოს ჩემპიონები არიან, ამიტომ მათთან მარცხი სირცხვილი არაა. თანაც ჩვენ ძირითადის ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა, ფრანგები კი საუკეთესო შემადგენლობით გვესტუმრნენ" — მოუბოდიშა ქომაგებს ტონი ადამსმა.

გლენ ჰოდლის დროებით შემცვლელმა ჰოვარდ უილკინსონმა ნაკრებში თავის მომავალზე არაფერი თქვა, სამაგიეროდ, მოწინააღმდეგე ერთობ შეაქო: „დღეს დიდი ხნის შეთამაშებულ მშვენიერ გუნდს და უძლიერეს, განსაკუთრებულ ფეხბურთელ ზინედინ ზიდანს ვეთამაშეთ. ასე რომ, წაგებისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ."

**გაიოზ თალაქვაძე**



REUTERS ლონდონიდან

დევიდ ბექემი (№7) და ემანუელ პეტი მომდევნო ოთხშაბათს „ოლდ ტრეფორდზე" შეხვდებიან ერთმანეთს. პრემიერლიგაში უდიდესი მატჩია: „მანჩესტერი" — „არსენალი"

# ძვირად დაუჯდა

ლონდონის „არსენალს", ოთხშაბათს, „უემბლიზე" გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში, ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებებს შორის, შვიდი ფეხბურთელი ჰყავდა მივლინებული, რაც ძვირად დაუჯდა: ტონი ადამსმა ცხვირი გაიტეხა, ლი დიქსონი ტვინის მცირე შერყევით საავადმყოფოში მიიყვანეს, ხოლო მარტინ კიოუნმა საზარდული დაიზიანა და სულ მცირე სამი კვირით ჩამოსცილდა სარბიელს.

„მეთოფეთა" ფრანგმა მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა ასე დაიჩივლა: „ტრავმებმა დიდი თავსატეხი გამიჩინა. ყველაზე მეტად კიოუნის ამბავი მაღელვებს, ის შეიძლება მთელი თვითაც კი დავკარგო."

არადა, ლონდონელებს სწორედ ახლა სჭირდებოდათ საბრძოლო შემადგენლობა. მათ შაბათს მშობლიურ „ჰაიბერიზე" ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის თასის მეხუთე რაუნდის შეხვედრა ელით „შეფილდ იუნაიტედთან", ხოლო მომავალ ოთხშაბათს „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა ეწვიონ. ამ შეხვედრის მნიშვნელობა საერთაშორისო ფეხბურთის ამბებში ცალი თვალით ჩახედილი ადამიანებისთვისაც კი ნათელია.

აღსანიშნავია, რომ ინგლისი-საფრანგეთის დაპირისპირების მონაწილე ფრანგი ფეხბურთელი, ემანუელ პეტი როგორც „შეფილდთან", ასევე „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრას გამოსტოვებს — ის დისკვალიფიცირებულია.



REUTERS ლონდონიდან

ლი დიქსონს ტვინი შეერყა

## ამხანაგური მატჩები



REUTERS ლონდონიდან

ხორვატია — დანია 0:1. ბურთისთვის იბრძვიან ებე სანდი (მარცხნივ) და დამირ მილინოვიჩი

### ხორვატია 0:1 დანია

0:1 სანდი (45)

ხორვატია: მრმიჩი (პლეტიკოსა 46), სტანიჩი (სარიჩი 46), იარნი (ცვიტანოვიჩი 76), სიმიჩი (ტოკიჩი 46), შტიმაცი, მილინოვიჩი, ასანოვიჩი (რაპაიჩი 46), სოლდო, შუკერი, ბობანი, ვლაოვიჩი (პეტერნაკი 46)

დანია: შმაიხელი, კოლდინგი, ჰენრიკსენი, ჰოგი, ჰაინცე, ჰელვეგი, ნილსენი, ტომსენი (სტეენ ნილსენი 34), მოლნარი (ფრედრიკსენი 67), იორგენსენი (გრავესენი 55), სანდი

შეხვედრის შემდეგ ხორვატთა მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი თავს იმით იმშვიდებდა, რომ მატჩი ამხანაგური იყო და არა ოფიციალური. იუგოსლავიასთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თამაშამდე არც ისე ბევრი დროა დარჩენილი. ხორვატებს მობილიზება მართებთ.

თუ დავორ შუკერს მადრიდის „რეალში" არ ათამაშებენ, სამაგიეროდ, იგი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გუნდის მუდმივი წევრია. შუკერს არ გაუმართლა. იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ ვერ გაიტანა, უბრალოდ, შუკერის ბედად იმ დღეს დანიელთა კარს პეტერ შმაიხელი იცავდა. მეკარემ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, თამამად შეიძლება ითქვას, გააწამა.

მე-13 წუთზე შუკერმა შმაიხელი მოატყუა და ამანაც დაარტყა, მაგრამ გადაულებელ წვიმას იმდენად დაელბო მინდორი, რომ ბურთის კარში გასაროლად ბიძგი დასჭირდა, ამის გამკეთებელი კი არავინ იყო. შმაიხელმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

მე-14 წუთზე „მანჩესტერ იუნაიტედის" კარის დარაჯმა დაამტკიცა, რომ იგი დღესაც ბებერი კონტინენტის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა — ზვონიმირ სოლდოს ის-ის იყო გოლით უნდა გაეხარა, რომ ბურთს შმაიხელი დაეუფლა.

მე-15 წუთზე დანიელთა გიგანტმა მეკარემ კვლავ დააღონა შუკერი — ამჯერად ხორვატთა საუკეთესო თავდამსხმელს საჯარიმო დარტყმიდან არ გაატანინა.

სამი წუთის განმავლობაში შმაიხელმა სამი უმძიმესი შეტევა მოიგერია!

ვერ გაიტანეს ხორვატებმა, გაიტანეს დანიელებმა — ებე სანდმა ბურთიანად დაახლოებით 30 მეტრი ირბინა, შემდეგ ორი ხორვატი მცველი მოატყუა და მრმიჩს მახვილი კუთხიდან თავზე გადაუგდო ბურთი 0:1.

ზემოთ ვთქვით, ძლიერ წვიმდაო. ავდრის ბრალი იყო, მატჩის 83-ე წუთზე სტადიონზე უკუნეთი სიბნელე რომ ჩამოწვა — წვიმამ სტადიონის ენერგომომარაგების სისტემა დააზიანა, რის გამოც ფეხბურთელებმა 15 წუთით შეისვენეს.

### ირლანდია 2:0 პარაგვაი

1:0 ირვინი (39პ), 2:0 კონოლი (73)

ირლანდია: გივენი (კელი 67), ირვინი, ჰარტი (ბები 71), კანინგემი, ბრინი, როი კინი, მაკატირი (მაკლაფლინი 81), კინსელა (კერსლი 67), ქუინი (კასკარინო 69), რობი კინი (კონილო 67), დაფი

პარაგვაი: ტავარელი, ვალდესი, როლონი, ორტისი, კანისა, აკორტა, აგილერა, პარედესი, კაბალიერო (ბრიტესი 71), ფრანკო (ესკუიველი 80), რომანი (პერალტა 58)

ირლანდიამ აშკარად აჯობა მეტოქეს — კუნძულელმა ფეხბურთელებმა სამხერთამერიკელი სტუმრები პატივისცემით მიიღეს, მაგრამ „ლენსდაუნ როუდიდან" წაგებული გაუშვეს.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, როცა ირლანდიამ ხორვატია დაამარცხა, გამარჯვებულთა მწვრთნელმა მიკ მაკართიმ განაცხადა, ჩემი გუნდი ყველა შეხვედრაში გამარჯვებისთვის იბრძოლებს და უკლებლივ ყველა მეტოქესთან თავს დადებსო. პარაგვაელებთან მატჩში თუ რისთვის იბრძოდნენ ირლანდიელები, ეს შედეგიდან კარგად ჩანს, აი, თავის დადება კი მასპინძლებს არ დასჭირვებიათ.

სამხრეთელთა მეტოქის მთავარი იარაღი სტანდარტული სიტუაციები გახლდათ. ირლანდიის ნაკრების მეკარე შეი გივენს, რომელიც ამავდროულად ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ნიუკასლ იუნაიტედის" ღირსებას იცავს, პარაგვაელები სწორედ ასეთი თავდასხმებისას ანებებდნენ, სხვა შემთხვევაში კი მასპინძელთა გოლკიპერი იშვიათად ერთვოდა თამაშში.

ანგარიში დენის ირვინმა როლონის მიერ რობი კინის წაქცევისთვის დანიშნული პენალტიდან გახსნა, მეორე ტაიმში კი შვიდი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა დევიდ კონოლიმ ირლანდიელთა უპირატესობა კიდევ უფრო გაამყარა.

### პორტუგალია 0:0 ჰოლანდია

დაძაბული თამაში იყო, თუმცა ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ მეტოქენი ერთმანეთს მოედნის ყოველ მეტრზე უშლიდნენ ხელს.

პარიზის ერთ დროს უპირველესი სტადიონი „პარკ დე პრენსი" თითქმის პორტუგალიელებით იყო სავსე. ჰოლანდიელებსაც არ აკლდათ გულშემატკივრები, მაგრამ სამხრეთელთა მხარდაჭერა მაინც სხვა იყო.

შეხვედრის ყველაზე რეალური საგოლე მომენტი პორტუგალიელთა ნახევარმცველმა, ესპანეთის პრიმერა დივიზიონის კლუბ „ოვიედოს" მოთამაშე პაულო სენტიმ გაუშვა ხელიდან, როცა პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე ცარიელ კარს ზემოდან გადააცილა ბურთი.

„ნარინჯისფერთაგან" გამოირჩეოდა ვეტერანი პეტერ ვან ფოსენი.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

## სამხრეთ ამერიკა

# ნაიკმა ბრძანა!

რამდენიმე წლის წინ ამერიკული სპორტული ალკაზმულობის ცნობილი ფირმა „ნაიკი“ საფეხბურთო სამყაროში შეიჭრა, თანდათანობით უკან ჩამოიტოვა ისეთი მძლავრი კონკურენტები, როგორიც „ადიდასი“, „ლოტო“, „უმბრო“ და „რიბოკია“ და დღესდღეობით, შეიძლება ითქვას, თავის მასშტაბურობით არავის უთმობს პირველობას...

28 აპრილს ბარსელონას „კამპ ნოუზე“ კატალონიური კლუბის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულთან დაკავშირებით ამხანაგური მატჩი გაიმართება — „ბარსელონა“ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ბრაზილიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს...

საფრანგეთი 98-ის ფინალის შემდეგ რონალდოს ვარსკვლავი ნელნელა ქრება. ეს ჯერ 12 ივლისის უკვე გახმაურებულ ისტორიას დაბრალდა, შემდეგ ხანგრძლივ არდადეგებს, ბოლოს კი მუხლის სერიოზულ ტრავმას. თუმცა ფაქტია — 22 წლის ბრაზილიელი აღარც ნაკრებში ჩანს და აღარც თავის კლუბში, მილანის „ინტერში“.

რა კავშირი აქვს ამ სამ ამბავს ერთმანეთთან დღეს?

პასუხი ერთია — „ნაიკი“. ამ ფირმას შარშანაც აბრალებდნენ, მსოფლიოს პირველობის ფინალის დღეს რონალდო ცუდად რომ გახდა, მისი სპონსორის, „ნაიკის“ ცენტრალური ოფისიდან დაუკავშირდნენ და ასე უთხრეს, დღეს თუ მინდორზე არ გახვალ, მერე შენს თავს დააბრალეო. რონალდოც თურმე დაემორჩილა ბობოლა პატრონის ბრძანებას და შემდეგ რაც მოხდა, ნახევარმა პლანეტამ მშვენივრად დაინახა. თუმცა ეს მხოლოდ თეორემაა, ჭორი.

ახლა კი ყოველგვარი მითქმა-მოთქმის გარეშე, ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ „ნაიკის“ დიდი სურვილია, „ფენომენმა“ (ასე ეძახიან რონალდოს იტალიაში) თავის ძველ სარბიელზე „კამპ ნოუზე“ კიდევ ერთხელ გაიქროლოს. ამის უფლება კი ამერიკულ ფირმას ნამდვილად აქვს. იმიტომ, რომ: 1. საზეიმო ამხანაგური მატჩის ოფიციალური სპონსორია; 2. ზრუნავს „ბარსელონას“ ალკაზმულობაზე; 3. ცოტა ხნის წინ ასმილიონდოლარიანი კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიის ნაკრებთან და ამ უკანასკნელის წევრთა სამოსსაც „ნაიკის“ ნიშანი ამშვენებს. ხელშეკრულება ათწლიანია; 4. „ნაიკი“ „ინტერის“, რონალდოს ამჟამინდელი კლუბის სპონსორია; 5. დაბოლოს, ფირმა მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელის ლუის ნაზარიო დე ლიმას, იმავე რონალდოს პირადი სპონსორია.

22 წლის ფორვარდსაც სხვა გზა აღარ დარჩენია, 28 აპრილს აუცილებლად კატალონიის დედაქალაქში უნდა იყოს. მით უმეტეს, ბოლო ხანებში მილანური კლუბის ბანაკიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ „ფენომენი“ ჩვეულ ფორმას უბრუნდება, ვარჯიშებზე სასწაულებს სჩადის და მალე კვლავ დააწიოკებს მეტოქეთა დაცვას.

„ნაიკსაც“ ეს არ უნდა? მისი პატრონობით გამართული დღესასწაული რაც უფრო ლამაზი, სოლიდური წარმომადგენლობის და სიახლეებით სავსე იქნება, მით უკეთესი.

ერთი სიტყვით, ზემოთ დასმულ კითხვას ბოლომდე გავეცით პასუხი.

და ერთიც. რონალდოს გამოჯანმრთელების ამბავი ვანდერლეი ლუქსემბურგოსაც შეუტყვია, ბრაზილიელთა თავკაცს. შეუტყვია და მარტის ბოლოს დაგეგმილ აზიურ ტურნეზეც გამოუძახია. ამასთან დაკავშირებით ლუქსემბურგო და „ინტერის“ ხელმძღვანელობა უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს. შეგახსენებთ, 28 მარტს „ტეტრაკამპეონები“ სეულში კორეელებს შეხვდებიან, 31-ში კი ტოკიოში იაპონიის ეროვნულ გუნდს.

**დავით ძოვზირიძე**



რონალდო „ნაიკის“ და ლუქსემბურგოს ყურადღების ცენტრში მოექცა

## ამხანაგური მატჩები

### მექსიკა 0:1 არგენტინა

0:1 სორინი (67)

მექსიკა: კამპოსი, ზეპედა, დავინო, ალმაგერი, პარდო, ვილა (კარმონა 46), კაბრერა (აბუნდისი 46), სუარესი, პალენსია, ერნანდესი, ბლანკო (ჩავესი 73)

არგენტინა: ბურგოსი, სორინი, სამუელი, ბერიზო, პუსეინი, ასტრადა, ბასედასი (მენდესი 82), გალიარდო (ესტებანი 90), კანია, პალერმო, სკელოტო

ლოს ანჯელესის „მემორიალ კოლიზეუმზე“ შეკრებილი 90 ათასამდე გულშემატკივარი საკმაოდ საინტერესო მატჩის თვითმხილველი შეიქმნა. არგენტინელთა შემადგენლობაში მხოლოდ სამი ისეთი ფეხბურთელი იყო, ვინც შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა, მექსიკელებს კი აშშ-ში უფრო სოლიდური შემადგენლობა ჰყავდათ ჩაყვანილი. მიუხედავად ამისა, შეხვედრამ თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა.

პირველი სახიფათო მომენტი ხორხე კამპოსის კართან შეიქმნა — დიეგო კანიას ახლო მანძილიდან ძლიერად დარტყმული ბურთი მიზანს სანტიმეტრებში ასცდა. შემდეგ გოლი გავიდა. მექსიკელთა ნახევარზე ჯარიმა დაინიშნა, არგენტინელთა ახალგაზრდა გამთამაშებლის მარსელო გალიარდოს მოწოდებულ ბურთს მარცხენა ფრთაზე გილერმო ბაროს სკელოტომ მიუსწრო, კარის გასწვრივ გამოზომილი გადაცემა გააკეთა, კამპოსი პოზიციურად შეცდა და ცარიელ კართან დარჩენილმა მცველმა ხუან სორინმაც ლამაზ ნახტომში თავურით მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

შეხვედრის მიწურულს მექსიკელები გააქტიურდნენ და ბიელსას შეგირდებიც ბეწვზე გადაურჩნენ ბურთის გაშვებას. მე-80 წუთზე ხერმან ბურგოსთან პირისპირ გასულმა გრძელთმიანმა ერნანდესმა ზუსტად დაარტყა, მაგრამ ერთ-ერთმა არგენტინელმა მცველმა მეკარე დააზღვია და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

ორიოდ წუთში კი ფრანსისკო პალენსიას თავური დარტყმის შემდეგ ბურთი უფრო სახელოვანი მეტოქის კარის ზედა ძელს მოხვდა.



არგენტინელმა ნახევარმცველმა მარტინ პალერმომ მექსიკელთა მცველ ფრანსისკო პალენსიას ბურთი აართვა

## ფეხბურთის რუკასთან



**უკრაინელი** თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო გაისად სავარაუდოდ იტალიურ „მილანში“ გადაბარგდება. თავდამსხმელის შეძენა მილანელებს კარგა ხანია, სურთ. ზაფხულში კი, როგორც ჩანს, მიზანს მიაღწევენ. იტალიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ რამდენჯერმე ნახა შევჩენკოს თამაში, მისით მოიხიბლა და „მილანის“ მწვრთნელი ალბერტო ძაკერონის ფეხბურთელის შეძენაში დათანხმდა. უკრაინული კლუბი შესაძლო ტრანსფერზე არაფერს ამბობს, თავად ფეხბურთელიც გაჩუმებულია, მაგრამ იტალიურ პრესას არაფერი გამოეპარა. „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, მილანელები შევჩენკოს სანაცვლოდ 13 მილიონი დოლარის გადახდას აპირებენ. ალბერტო ძაკერონის თქმით, შევჩენკო ზედგამოჭრილია „მილანისთვის“. უკრაინელი ფეხბურთელი, ალბათ, ლიბერიელ ჟორჟ ვეას შეცვლის, რომელიც გუნდიდან სეზონის დასრულებისთანავე წავა.

**ჰოლანდიელი ედგარ დავიდსის შეძენა ლონდონის „არსენალს“ მოუწადინებია. ხმები დაირხა, „იუვენტუსიდან“ მარჩელო ლიპის წასვლის შემდეგ ტურინულ კლუბში არც დავიდსი გაჩერდებაო და ინგლისის ჩემპიონმაც წინადადებით მიმართა ჰოლანდიელ ნახევარმცველს. ლონდონური კლუბის მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ ედგარი „არსენალის“ ფეხბურთელად ესახება და მისი გადაბირებით „მეთოფენი“ კიდევ უფრო გაძლიერდებიან. კლუბის წარმომადგენლები რამდენჯერმე დაესწრნენ „იუვენტუსში“ დავიდსის თამაშს. მართალია, ჯერ უცნობია, დატოვებს თუ არა ნახევარმცველი „იუვენტუსს“, მაგრამ იტალიის ყველაზე ტიტულიანი გუნდის პრეზიდენტმა ვიტორიო ჩიზანომ ქვეყნის ტელევიზიას განუცხადა, რომ ისინი დავიდსის გაშვებას არ აპირებენ.**

**ხორვატი** თავდამსხმელი დავორ შუკერი „რეალს“ დატოვებს და ბერძნულ „პანათინაიკოსში“ გადასვლას აპირებს. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, სადაც შუკერმა ყველაზე მეტი, ექვსი გოლი გაიტანა, იგი ვერა და ვერ დამკვიდრდა მადრიდული კლუბის ძირითადში. ძლიერთა შორის სათადარიგოთა სკამზე ყოფნას კი შუკერმა საშუალო ძალის კლუბში ძირითადში თამაში ამჯობინა. „მე არ ვაპირებ, მწვრთნელებს ვუცადო. არ მათამაშებენ, ესე იგი არ ვუნდივარ. ასეთ ყოფას მირჩევნია სხვაგან წავიდე“ — განაცხადა შუკერმა. ათენის კლუბი მზადაა, ხორვატი თავდამსხმელის სანაცვლოდ 8 მილიონი დოლარი გადაიხადოს, მაგრამ ჯერ ტრანსფერზე ფეხბურთელის კლუბი არ დათანხმებულა. თანაც შუკერის შეძენა სხვა გუნდმაც მოიწადინეს.

**ინგლისის ჩემპიონატის პირველი დივიზიონის ლიდერმა „სანდერლენდმა“ მწვრთნელ პეტერ რეიდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. რამდენიმე დღის წინ დადებული ხელშეკრულების თანახმად, რეიდი „სანდერლენდში“ 2000-2001 წლების სეზონის დასრულებამდე დარჩება. თავის დროზე ინგლისის ნაკრების და ლივერპულის „ევერტონის“ ვარსკვლავი პეტერ რეიდი კლუბში 1995 წელს მივიდა. პირველ დივიზიონში გავარდნილი კლუბი მან იმავე სეზონში პრემიერლიგაში გადაიყვანა, თუმცა მომდევნო წელს „სანდერლენდმა“ მაინც დატოვა პრემიერლიგა. ახლა დიდი შანსია კლუბი, კვლავ პრემიერლიგას დაუბრუნდეს. „სანდერლენდი“ მდევარს 7 ქულით უსწრებს. „თითქმის ოთხი წელია, კლუბში ვმუშაობ და ვეცდები, კიდევ ბევრი რამ გავაკეთო „სანდერლენდისთვის“ — განაცხადა რეიდმა.**

**ბრაზილიელმა** სუპერთავდამსხმელმა რონალდომ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი მილანის „ინტერს“ კონტრაქტის დასრულებისთანავე დატოვებს. რონალდოსა და „ინტერს“ შორის დადებული ხელშეკრულება 2002 წელს იწურება, შემდეგ კი ბრაზილიელი სამშობლოში დაბრუნდება და კარიერას იქ გააგრძელებს. ბოლო ექვსი წლის მანძილზე რონალდო ევროპაში თამაშობს. ჯერ ჰოლანდიური „ეინდჰოვენი“ იყო, შემდეგ ესპანური „ბარსელონა“, ახლა იტალიური „ინტერი“. მან თითქმის ყველაფერი მოიგო, რის მოგებაც შეიძლებოდა, ახლა კი სამშობლოში მიდის. „ფეხბურთელის ნება-სურვილს წინ ვერავინ აღუდგება. რონალდო კონტრაქტის დასრულებისთანავე სამშობლოში წავა“ — განაცხადა მილანური კლუბის წარმომადგენელმა ლუკინო პოჯიმ.

**საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ მცველმა ფრენკ ლებეფმა განაცხადა, რომ თუ კლუბის ხელმძღვანელობა ხელფასს არ მოუმატებს, იგი გუნდს დატოვებს. გუნდის თავმჯდომარეს კენ ბეიტსს იგი კონტრაქტის პირობების შესაცვლელად რამდენიმე ხანში შეხვდება. „ბეიტსი ამბობს, რომ ჩემი შეძენა მისი ყველაზე გონივრული ნაბიჯი იყო. ძალიან კარგი, მაგრამ მესიამოვნებოდა, თუ იგი გარჯას ფინანსური თვალსაზრისით უფრო დამიფასებდა“ — განაცხადა ლებეფმა. მსოფლიოს ჩემპიონი ლებეფი ლონდონურ კლუბში 1996 წლის ივნისში გადავიდა „სტრასბურიდან“ 3,8 მილიონ დოლარად. მას შემდეგ კი ინგლისის ლიგის და ასოციაციის თასები, ასევე თასების მფლობელთა თასი მოუგია.**

**ესპანეთის** ყველაზე ტიტულოვანი კლუბის მადრიდის „რეალის პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა განაცხადა, რომ გუნდის მწვრთნელი გუს ჰიდინკი შესაძლოა თანამდებობიდან გაათავისუფლოს. ერთ-ერთ ბოლო საგაზეთო ინტერვიუში ჰოლანდიელ მწვრთნელს „რეალის“ პრეზიდენტი ერთობ გაუკრიტიკებია, თან ისიც განუცხადებია, ფეხბურთელთა შესაძენად ფულს იშურებსო. პრეზიდენტი სწორედ ამ ფრაზამ გაალიზიანა. „რაც „რეალს“ ვთავკაცობ, მოთამაშეთა შესაძენად ფული არასდროს დამნანებია, ჰიდინკმა სჯობს, საქმეს მიხედოს. კლუბისთვის ასე აჯობებს“ — თქვა სანსმა. გავრცელდა ხმები, რომ მადრიდული კლუბი იტალიელ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს დაუკავშირდა და თავისთან გადასვლა სთხოვა. შეგახსენებთ, რომ 1997 წელს „რეალმა“ პრიმერა დივიზიონი სწორედ კაპელოს ხელმძღვანელობით მოიგო.

**ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა დამნაშავე ფეხბურთელებს სასჯელები ჩამოურიგა. ლონდონის „ჩელსის“ კაპიტანი, ტანმორჩილი დენის უაიზი 17 თებერვლიდან ოთხ შეხვედრას გამოტოვებს. უაიზი ასოციაციის თასის მეოთხე წრეში, „ოქსფორდთან“ მატჩისას, ამ სეზონში მეოთხედ გააძევეს მინდვრიდან. მას ოთხი შეხვედრის გამოტოვების გარდა ფულადი ჯარიმაც დაეკისრა. სამ მატჩს გამოტოვებს „შეფილდ უენსდეის“ ჩეხი მეკარე პაველ სრნიჩეკი, ხოლო „არსენალის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი დენის ბერგკამპი ერთი შეხვედრითაა დისკვალიფიცირებული.**

**იტალიის** „მილანმა“ მოლაპარაკებები გააბა ბრაზილიურ „კრუზეიროსთან“ მეკარე დიდას თაობაზე. აპენინური მხარე მეკარეს ხუთწლიან კონტრაქტს და რამდენიმემილიონიან გასამრჯელოს სთავაზობს, მაგრამ არავინ იცის, შედგება თუ არა ტრანსფერი. საქმე ისაა, რომ დიდას გაშვება არ სურს „კრუზეიროს“. თავად ფეხბურთელის აზრი უცნობია. „ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ დიდა „მილანის“ მეკარე გახდება. საამისოდ ბრძოლას არ შევწყვეტთ“ — განაცხადა „მილანის“ მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ჩარლტონი — ლივერპული | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ვესტ ჰემი — ნოტინგემი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ბოლტონი — ვესტ ჰრომვიჩი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბრედფორდი — იფსვიჩი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ბრისტოლი — სანდერლენდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| კრისტალ პალასი — ქრიუ | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ოქსფორდი — სვინდონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პორტსმუთი — ბერი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| სტოკპორტი — ბირმინგემი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ტრანმერი — ქუინზ პარკი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვულვერჰემპტონი — პორტ ვეილი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ინგლისის თასის მერვედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| არსენალი — შეფილდ იუნაიტედი (I) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ჰადერსფილდი (I) — დერბი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ლიდსი — ტოტენჰემი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბარნსლი (I) — ბრისტოლ როვერსი (II) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| შეფილდ უენსდეი — ჩელსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ევერტონი — ქოვენთრი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 14 თებერვალი | | | |
| ნიუკასლი — ბლექბერნი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მანჩესტერი — ფულემი (II) | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 თებერვალი | | | |
| პარმა — ბოლონია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| უდინეზე — ფიორენტინა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| პერუჯა — ინტერი | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| პიაჩენცა — იუვენტუსი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| კალიარი — ლაციო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ემპოლი — სალერნიტანა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| რომა — სამპდორია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მილანი — ვენეცია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ბარი — ვიჩენცა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ჩეზენა — რავენა | 2,8 | 2,7 | 2,4 |
| 14 თებერვალი | | | |
| კიევო — კოზენცა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| ფ. ანდრია — კრემონეზე | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ტრევიზო — ლეჩე | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| ბრეშა — ლუკეზე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ჯენოა — მონცა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| რეჯინა — ნაპოლი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ატალანტა — პესკარა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ტორინო — ტერნანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| რეჯანა — ვერონა | 3,2 | 2,7 | 2,2 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| მალიორკა — სოსიედადი | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| ატლეტიკო — ესპანიოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| დეპორტივო — სალამანკა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 14 თებერვალი | | | |
| ტენერიფე — ოვიედო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვილიარეალი — ვალენსია | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ვალიადოლიდი — სელტა | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ბარსელონა — რეალი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ბილბაო — ესტრემადურა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბეტისი — რასინგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სარაგოსა — ალავესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ბადახოსი — ნუმანსია | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| ოსასუნა — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ალბასეტე — ატლეტიკო B | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ეიბარი — ლას პალმასი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 14 თებერვალი | | | |
| ლეგანესი — კომპოსტელა (15$^{00}$) | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ბარსელონა B — რაიო ვალეკანო (15$^{00}$) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ტოლედო — მალიორკა B (15$^{00}$) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| რეკრეატივო — ორენსე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| მერიდა — სევილია | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ერკულესი — ლოგრონიესი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| სპორტინგი — მალაგა | 3,2 | 2,7 | 2,2 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ბორდო — ბასტია | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| მონაკო — რენი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ლორიანი — მონპელიე | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ლანსი — პსჟ | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლიონი — ნანტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სტრასბური — ოსერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სოშო — ლე ავრი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 14 თებერვალი | | | |
| ნანსი — მეცი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ტულუზი — მარსელი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თებერვალი | | | |
| ბოავიშტა — სალგეირუში | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 13 თებერვალი | | | |
| რიუ ავე — აკადემიკა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბეირა მარი — შავეში | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ფარენსე — სეტუბალი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლეირია — კამპომაიორენსე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| მარიტიმუ — ბენფიკა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| გიმარაეში — პორტუ | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ალვერკა — ბრაგა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 14 თებერვალი | | | |
| ამადორა — სპორტინგი | 2,6 | 2,8 | 2,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 თებერვალი | | | |
| სპარტა — უტრეხტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ალკმაარი — ფეიენოორდი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ტვენტე — აიაქსი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| კამბური — როდა | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თებერვალი | | | |
| ლიერსი — მუსკრონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 13 თებერვალი | | | |
| ანდერლეხტი — ეკერენი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ლომელი — სტ. ტრუიდენი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| გენტი — კორტრაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სტანდარდი — შარლერუა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ლოკერენი — ვესტერლო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| აალსტი — გენკი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 14 თებერვალი | | | |
| ოსტენდე — ბევერენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჰარელბეკი — ბრიუგე | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### შოტლანდიის თასის მერვედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| მოზერველი — ჰიბერნიანი (I) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ლივინგსტონი (II) — სტ. ჯონსტონი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| სელტიკი — დანფერმლაინი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 14 თებერვალი | | | |
| ჰამილტონი — რეინჯერსი | 8,0 | 4,4 | 1,25 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თებერვალი | | | |
| ქოჯაელი — გალათასარაი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 13 თებერვალი | | | |
| ერზურუმი — სამსუნი (14$^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ალთაი — საქარია (15$^{30}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ქარაბუქი — ისთანბული (15$^{30}$) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ანთალია — ანკარა (15$^{30}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| გაზიანთეფი — ბეშიქთაში | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 14 თებერვალი | | | |
| გენჩლერბირლიგი — დარდანელი (15$^{30}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბურსა — ტრაბზონი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ფენერბაჰჩე — ადანა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

### ჰოკეი NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თებერვალი | | | |
| ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| აილენდერსი — ნეშვილი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| რეინჯერსი — კაროლინა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ჩიკაგო — დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| კალგარი — ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ანაჰაიმი — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 13 თებერვალი | | | |
| ბუფალო — აილენდერსი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ტორონტო — ჩიკაგო | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| მონრეალი — ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ოტავა — ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ნიუ ჯერსი — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ტამპა ბეი — სან ხოსე | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| სენტ ლუისი — ედმონტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ნეშვილი — პიტსბურგი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| კოლორადო — ფინიქსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ვანკუვერი — ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ლოს ანჯელესი — დალასი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 14 თებერვალი | | | |
| რეინჯერსი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კოლორადო — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ფინიქსი — ანაჰაიმი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 15 თებერვალი | | | |
| ბუფალო — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ოტავა — ჩიკაგო | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ნიუ ჯერსი — ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| აილენდერსი — ტამპა ბეი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| პიტსბურგი — ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფლორიდა — სან ხოსე | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| სტ. ლუისი — ვანკუვერი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ნეშვილი — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — ედმონტონი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## სპორტული ლატარია "CROCO" გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების სიის მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1 000-ს. თუ ნამრავლი 1 000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1 000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი კალიარი 3:0 და ინტერი კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ.

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარილიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი I სავაჭრო ცენტრი

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „რიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაის) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

რეგულარული ჩემპიონატი

# სიეტლი — უსტეფანიოდ, ოფლის ღვრით

10 თებერვალი

**გოლდენ სტეიტი 82:89 სიეტლი**

**გოლდენ სტეიტი: სტარქსი (22)**
**სიეტლი: პეიტონი (24 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), ოუენსი (4), შრემპფი (17), ბეიკერი (6), პოლინაისი (10); ელისი (16), ვილიამსი (8), ჰოკინსი (2), ნორისი (2)**

„სიეტლ სუპერსონიკსმა" „გოლდენ სტეიტი" საკუთარ კედლებშიც დაამარცხა, თუმცა წინა დღის მატჩისგან განსხვავებით ოფლიც ბევრი ღვარა. ლატრელ სპრიუელის ნაცვლად ნიუ იორკიდან მოსულმა კალათბურთელებმა — სტარქსმა, ტერი კამინგსმა (12 ქულა, 10 მოხსნა) და კრის მილზმა (19 ქულა) ბევრი პრობლემა გაუჩინეს სტუმარ გუნდს, მაგრამ ძველმა მოთამაშეებმა მათ მხარი ვერ აუბეს და მატჩიც წააგეს. სამწუხაროდ, „ზებგერითების" თავკაცმა პოლ ვესტფოლმა ვერ გარისკა ახალგაზრდა მოთამაშეების მოედანზე შეშვება, მით უმეტეს, რომ სიეტლმა მხოლოდ ბოლო მეოთხედში მოახერხა სასწორის თავის მსახეს გადაძალვა. ამის გამო ჩვენებურმა ვლადიმერ სტეფანიამ მთელი მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

თვითონ მატჩი მასპინძელთა მცირე უპირატესობით დაიწყო და „გოლდენ სტეიტმა" სტარქსისა და მილზის მშვენიერი გარჯის წყალობის ათიოდე ქულით" მოახერხა წინ გაქცევა. თუმც სიეტლი დროულად მოვიდა გონს და პირველივე ნახევარში მოახერხა, დასწეოდა მეტოქეს. გაცილებით დაძაბულად წარიმართა მეორე ნახევარი, განსაკუთრებით კი ბოლო მეოთხედი. დონიელ მარშალის (11 ქულა) ორი ჩაგდების შემდეგ „გოლდენ სტეიტი" 73:68 გავიდა წინ მაშინ, როცა მატჩის დასრულებამდე 7,21 წუთიღა რჩებოდა. აქ კი აიწყვიტა გერი პეიტონმა და ამ მონაკვეთში რვა ქულა მოუტანა გუნდს. სტუმრები ორიოდე წუთით ადრე დაწინაურდნენ და ბოლომდე შეძლეს რამდენიმექულიანი სხვაობის შენარჩუნება. სიეტლმა სეზონის ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და „გოლდენ სტეიტს" ასევე ზედიზედ მეოთხე მარცხი აწვნია, ამ გუნდების პირად შეხვედრაში კი ზედიზედ მეცხრედ დასცა „ვორიორზი". პოლ ვესტფოლი ერთობ გაუხარებია ზედიზედ მოეთხე მოგებას და გუნდის ლიდერი გერი პეიტონიც დამსახურებულად ცამდე აუყვანია. ასე რომ, მართალია, ჩვენი ვლადიმერ სტეფანია ჯერ ჩრდილშია, მაგრამ მისთვის ყველაფერი წინ არის. მისმა გუნდმა კი ნაკლული ჩემპიონატი ზედიზედ ოთხი გამარჯვებით დაიწყო. ასეთი სტარტი მას 1993 წლიდან არ ჰქონია. 1993-94 წლების სეზონის დასაწყისში „სუპერსონიკსმა" ზედიზედ ათჯერ მოიგო. დღესდღეობით სიეტლი ამაზე გაჩერებას არ აპირებს და სულ მცირე, კიდევ ერთ მომდევნო თამაშში გამარჯვებას უმიზნებს, რაც სავსებით შესაძლებელია, რადგან იგი შაბათს შინ ხვდება ლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ „დენვერ ნაგიტსს".

**ვანკუვერი 105:99 კლიპერსი**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (35), ბიბი (18 ქულა, 12 პასი)**
**კლიპერსი: მიურეი (21), ოლვოკანდი (17)**

ამ ორი სუსტი გუნდის შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ 98 წლის დრაფტის პირველი ნომერი კლიპერსელი მაიკლ ოლივოკანდი და ვანკუვერელი მაიკ ბიბი. მართალია, პირველი ცენტრია, მეორე კი გამთამაშებელი, მაგრამ ეს მაინც არ აკლებდა თამაშს სიმძაფრეს. თავი არც ერთ მათგანს არ შეურცხვენია, შერცხვა ლოს ანჯელეს კლიპერსი და სეზონში ორ წაგებულ თამაშს მესამეც მიუმატა. ვანკუვერმა კი სამ თამაშში პირველად მოიგო. მასპინძლები თამაშის დაწყებისთანავე დაწინაურდნენ. მშვენივრად ირჯებოდა გუნდის ლიდერი შარიფ აბდურ-რაჰიმი, რომელმაც წინა ორი თამაში ჩააგდო, კლიპერსთან კი მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. კლიპერსელებს ისღა დარჩენოდათ, მასზე დაჯარიმებულიყვნენ, თუმცა ამან დიდი ვერაფერი შედეგი გამოიღო, ვანკუვერელმა 17 საჯარიმოდან 16 ჩააგდო.

**პორტლენდი 100:92 ინდიანა**

**პორტლენდი: რაიდერი (26 ქულა, 11 მოხსნა), სტუდემაიერი (23 ქულა, 9 პასი)**
**ინდიანა: სმიტსი (23), ბესტი (20)**

REUTERS პორტლენდიდან



პორტლენდი — ინდიანა. პორტლენდელი უკანახაზელი დეიმონ სტუდემაიერი (ბურთით) თვით კრის მულინმაც ვერ შეაჩერა

ორი ევროპელი ცენტრის — ჰოლანდიელი 223-სანტიმეტრიანი რიკ სმიტსისა და ლიტველი 221-სანტიმეტრიანი არვიდას საბონისის დუელი პირველმა პირწმინდად მოიგო. ლიტველმა მხოლოდ 7 ქულა შეაწია თავისიანებს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პორტლენდი მაინცდამაინც არ საჭიროებდა საბონისის თავის გამოდებას და არვიდასმაც მხოლოდ 22 წუთი დაჰყო მოედანზე. საქმეს თავი ჩინებულად გაართვეს პორტლენდის უკანახაზელებმა — დეიმონ სტუდემაიერმა და აიზია რაიდერმა. ეს უკანასკნელი 196 მანტიმეტრია, მაგრამ გარდა იმისა, რომ მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო, პორტლენდელთაგან ყველაზე მეტ, 11 მოხსნასაც მოუყარა თავი და არც სტუმართა ლიდერი რეჯი მილერი გაახარა, ის უკანასკნელი მხოლოდ 12 ქულას დასჯერდა. პორტლენდი შეხვედრის დასაწყისისთანავე დაწინაურდა და ლარი ბერდის გუნდი ბოლომდე მდევრის როლში ამყოფა.

**დენვერი 98:103 ლეიკერსი**

**დენვერი: ლაფრენცი (24 ქულა, 12 მოხსნა), მაკდაიესი (21 ქულა, 19 მოხსნა)**
**ლეიკერსი: ონილი (29), ბრაიანტი (21 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსი (21)**

ნბა-ს ჩემპიონობის ერთ-ერთმა უპირველესმა ფავორიტმა სეზონში მესამე თამაში მოიგო, მაგრამ ვაი ასეთ მოგებას. ლეიკერსმა ბოლო მეოთხედში გამოგლიჯა გამარჯვება უსუსურად მონათლულ დენვერს. ლოსანჯელესელების ლიდერმა შაკილ ონილმა 29 ქულა ჯი გაკეთა, მაგრამ ახალბედა რივ ლაფრენცმა, რომელიც ონილს სიმაღლეშიც გვარიანად ჩამორჩება და ჯანშიც, სულ თავბედი აწყევლინა ლიგის უმძლავრეს ცენტრს. მისმა და ანტონიო მაკდაიერის დუეტმა კი სულაც დაჩაგრეს მოხსნებში მეტოქე — 53:34. დიდი შაკილი განსაკუთრებით ბოლო მეოთხედში შერცხვა, სწორედ მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ფეხდაფეხ მისდევდნენ და გუნდი ყველაზე უფრო მეტად საჭიროებდა მის გარჯას, ონილმა კი ერთი საცოდავი საჯარიმო ძლივს ჩააგდო. ლეიკერსი, რა თქმა უნდა, კობი ბრაიანტმა იხსნა ბოლო 12 წუთში 9 ქულის მოგროვებით და ამასთან სეზონში მეოთხე თამაშშიც გააკეთა 10 მოხსნა. და ეს მაშინ, როდესაც ბრაიანტი წინა სეზონში თამაშში საშუალოდ 3,1 ბურთს ხსნიდა ფარიდან. ღირსეულად დამარცხებული დენვერი კი მოულოდნელად დაალალატა ექსლეიკერსელმა გამთამაშებელმა ნიკ ვან ექსელმა, ვისაც ძალიან სურდა, ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თავი გამოეჩინა, მაგრამ 19 სროლიდან მხოლოდ სამი ჩააგდო და ნათამაშევ 38 წუთში 9 ქულასღა დასჯერდა.

**ნიუ ჯერსი 81:89 ორლანდო**

**ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (17), ბარელი (17)**
**ორლანდო: ჰარდევეი (21), ანდერსონი (21)**

ორლანდოსთან შეხვედრაში ნიუ ჯერსიმ ოთხი მოთამაშე მოისაკლისა და თანაც როგორი: ძირითადი გამთამაშებელი სემ კარელი და სასტარტო ხუთეულის მეორე უკანახაზელი, მსროლელი კერი კიტლზი. ამას რონი საიკლი და ერიკ მერდოკიც დაემატათ და ნბა-ში ჩახედული გულშემატკივარი მიხვდება, რა პრობლემების წინაშე იდგა ნიუ ჯერსი. ასეთი დანაკარგით ნიუჯერსელმა უკანა ხაზმა სრული კრახი განიცადა ორლანდოსთან. „მეჯიქის" ლიდერებმა, ანფერნი ჰარდევეიმ და ნიკ ანდერსონმა მშვენიერი მატჩი ჩაატარეს და ნიუ ჯერსის არანაირი შანსი არ დაუტოვეს.

განსაკუთრებით ჰარდევეიმ ისახელა თავი, რომელმაც 26 ქულასთან ერთად 8 მოხსნა, 6 პასი და 7 ჩაჭრა მიითვალა. ფარზე კი უფრო მასპინძელი გუნდი მძლავრობდა, განსაკუთრებით მოხსნებში. ნიუ ჯერსიმ ჯეისონ უილიამსის 21 მოხსნის წყალობით 54:33 მოიგო ფარი, თუმც, რაღა თქმა უნდა, კალათბურთში მოხსნაზე უმთავრესი ბურთის ჩაგდებაა.

**შარლოტი 77:87 კლივლენდი**

**შარლოტი: კოულმენი (16), უესლი (16)**
**კლივლენდი: კემპი (20 ქულა, 13 მოხსნა)**

შარლოტელები ბევრს ელოდნენ წინა თამაშში მაიამისთან ნავაჟკაცევი ჯეიარ რიდისგან, მაგრამ მან კლივლენდის ლიდერ შონ კემპთან ორთაბრძოლაში ბევრი ვერაფერი მოახერხა და ექვს ქულასღა დასჯერდა. კლივლენდს ზედიზედ სამი მატჩი წაეგო და ამიტომ ერთობ გულმოდგინედ იბძოდა. აკი სეზონში პირველი გამარჯვებაც იზეიმა დაუძლურებულ შარლოტთან. შონ კემპისა და ბრევინ ნაითის (15 ქულა) ძალისხმევით სტუმრები დასაწყისშივე დაწინაურდნენ და რვა ქულაზე ახლოს არც გაიკარეს მეტოქე.

**ჰიუსტონი 92:82 საკრამენტო**

**ჰიუსტონი: ოლაჯუონი (9 ქულა, 13 მოხსნა), ბარკლი (16 ქულა, 16 მოხსნა)**
**საკრამენტო: ვებერი (21 ქულა, 19 მოხსნა)**

როგორც იქნა, თავისი თამაში იპოვა ჰიუსტონის ცენტრმა ჰაკიმ ოლაჯუონმა და ჩვეულად, ადრინდელის დარად, წაუძღვა თავისიანებს. ჰიუსტონელებს მატჩის წინ დიდი თავსატეხი გასჩენოდათ. მიზეზი ჩარლზ ბარკლის მტკივანი მუხლი იყო. მხცოვანი სერ ჩარლზი უკვე მერამდენედ დგას სერიოზული სირთულეების წინაშე. ჰიუსტონელთა ხელმძღვანელებს ამ ტრავმის გამიზეზების ეშინოდათ და არც აპირებდნენ მის მოედანზე შეშვებას, მაგრამ ბარკლიმ დაიჟინა, თავისი გაიტანა და მშვენივრადაც ითამაშა — 16 მოხსნით ტოლი არ დაუდო თავის მეურვეს, ჯანღონით აღსავსე ახალგაზრდა კრის ვებერს. ჰიუსტონი თავის ბებერ ლიდერთა სამეულის (ოლაჯუონი, ბარკლი, პიპენი) წყალობით პირველ ნახევარში 11 ქულით დაწინაურდა და ამით საქმე მოთავებულადაც ჩათვალა, რისთვისაც წლეულს საკმაოდ მოღონიერებულმა საკრამენტომ კინაღამ დასაჯა კიდეც, მაგრამ ოლაჯუონის ექვსმა ქულამ მატჩის მიწურულს ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

**ნიუ იორკი 101:88 ვაშინგტონი**

**ნიუ იორკი: ჯონსონი (18)**
**ვაშინგტონი: ჰოვარდი (19 ქულა, 13 მოხსნა), რიჩმონდი (25)**

ნიუ იორკს თავისი ახალი ლიდერი, ყოფილი გოლდენსტეიტელი ლატრელ სპრიუელი აკლდა, მაგრამ პირველ წარმატებას მაინც მიაღწია. მთელი მატჩის განმავლობაში დედაქალაქელთაგან მხოლოდ ორი კაცი — ჯუონ ჰოვარდი და მიჩ რიჩმონდი ირჯებოდნენ ხეირიანად. ძლევამოსილი როდ სტრიკლენდი სადღაც გამქრალიყო, დანარჩენები კი წინ და უკან სირბილის მეტს არას აკეთებდნენ. ნიუ იორკმა სტუმრებს დაბნეულობა არ აპატია და დალაგებული გუნდური თამაშის წყალობით პირველივე ნახევარი 13 ქულით მოიგო. მეორეში კი იოლად მოახერხა ამ სხვაობის შენარჩუნება.

**ირაკლი ფირაშვილი**

REUTERS დენვერიდან



დენვერი — ლეიკერსი. ყოფილი ლეიკერსელი ნიკ ვან ექსელი (ბურთით) თავის ახალ კლუბს დიდად ვერ დაეხმარა

REUTERS ჰიუსტონიდან



ჰიუსტონი — საკრამენტო. ჰიუსტონის ახალგამომცხვარი ტანდემი ჰაკიმ ოლაჯუონი (შუაში) და სკოტი პიპენი (მარჯვნივ) კუტინო მობლისთან ერთად საკრამენტოზე გამარჯვებას ხარობენ

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ფილადელფია | 3 | 0 | 100 |
| ორლანდო | 3 | 1 | 75,0 |
| ბოსტონი | 2 | 2 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 1 | 2 | 33,3 |
| ნიუ იორკი | 1 | 2 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 1 | 3 | 25,0 |
| მაიამი | 1 | 3 | 25,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 2 | 0 | 100 |
| დეტროიტი | 3 | 1 | 75,0 |
| ატლანტა | 3 | 1 | 75,0 |
| ინდიანა | 2 | 2 | 50,0 |
| ტორონტო | 1 | 2 | 33,3 |
| ჩიკაგო | 1 | 2 | 33,3 |
| შარლოტი | 1 | 3 | 25,0 |
| კლივლენდი | 1 | 3 | 25,0 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 3 | 0 | 100 |
| ჰიუსტონი | 3 | 1 | 75,0 |
| მინესოტა | 2 | 1 | 66,7 |
| სან ანტონიო | 2 | 2 | 50 |
| დალასი | 1 | 2 | 33,3 |
| ვანკუვერი | 1 | 2 | 33,3 |
| დენვერი | 0 | 4 | 0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 4 | 0 | 100 |
| ლეიკერსი | 3 | 1 | 75,0 |
| ფინიქსი | 2 | 1 | 66,7 |
| პორტლენდი | 2 | 1 | 66,7 |
| საკრამენტო | 2 | 2 | 50,0 |
| კლიპერსი | 0 | 3 | 0 |
| გოლდენ სტეიტი | 0 | 4 | 0 |

საქართველოს ჩემპიონატი

# 14 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

### გიორგი ნიკოლაძე
### „დინამო"



სდასუ-სთან შეხვედრაში ბოლო წუთზე „დინამოს" გამთამაშებლის გიორგი ნიკოლაძის სამქულიანმა თითქმის წაგებული მატჩი იხსნა. მანამდეც იგი საუკეთესო იყო თავის ამპლუაში.

**— რას იტყვი მეორე ტაიმის ბოლო წამებზე მსაჯების გადაწყვეტილების შესახებ, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია?**

— ხოშტარიას ეყო ის ოთხი წამი, შეტევისათვის რომ გვქონდა დარჩენილი და ბურთის სროლაც მოასწრო, რომელიც ფარიდან კილაძემ მოხსნა და ორი საჯარიმოს უფლებაც მოიპოვა. ვფიქრობ, ყველაფერი წესების დაცვით მოხდა და ღირსეულად გავიმარჯვეთ.

**— შენი აზრით, რით დაიმსახურე ტურის საუკეთესო მოთამაშის სახელი?**

— ყველა რგოლში კარგად ვითამაშე — დაცვაში, ფარზეც ვიბრძოლე, პასიც დროული გავაკეთე, სროლებიც წამივიდა და ბოლო წუთზე მეტად საჭირო სამქულიანიც ჩავაგდე.

**— შენზე ამბობენ, კალათბურთზე ფანატიკურად არის შეყვარებულიო. როგორც სპორტსმენს, თუ გაქვს რაიმე ნაკლი და როგორ ცდილობ მის აღმოფხვრას?**

— სისწრაფე, გამძლეობა, ნახტომი და სროლა საუკეთესო თუ არა, ნორმალური მაქვს და ყოველდღიურად ვცდილობ, უფრო სრულფასოვნად გავხდე. რაც შეეხება ნაკლს, ფიზიკურად სუსტი ვარ და სასურველ წონას ვერაფრით ვერ მივაღწიე ჯერჯერობით. როგორც მოზარდმა იქნებ ასაკთან ერთად წონაში და სიმაღლეშიც მოვიმატო.

**— რომელწლიანი ხარ და რა სიმაღლის, რასაც ასე განიცდი?**

— წლეულს 21-ის გავხდები, ხოლო ჩემი სიმაღლე 188 სმ-ია.

**— კალათბურთის გარდა რას საქმიანობ?**

— ვსწავლობ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ეკონომიკური ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის განყოფილებაზე.

**— შენი ძირითადი პროფესია სპორტია თუ ეკონომისტობა?**

— უკალათბურთოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია და ძალიან მინდა, პროფესიონალი გავხდე. ცხადია, არაა გამორიცხული, ჩემი სურვილი სურვილად დარჩეს, ამიტომ იძულებული ვარ, სხვა სპეციალობასაც დავეუფლო.

**— მეხუთე წელია, უმაღლეს ლიგაში თამაშობ და ყოველ წელიწადს გუნდს იცვლი. ამაზე რას მეტყვი?**

— ვიცი, რომ როგორც კალათბურთელი, სკამზე ჯდომით ვერ გავიზრდები და გუნდებსაც ამიტომ ვიცვლიდი. „დინამოდან" თსუ-შიც იმიტომ გადავედი, რომ დამპირდნენ, ძირითადში ვითამაშებდი. მოულოდნელად კი სკამზე აღმოვჩნდი და კადეტთა ნაკრებშიც ამის გამო გამიჩნდა პრობლემები. გვიან მივხვდი, რომ „დინამო" და ისეთი მწვრთნელი, როგორიც ლევან მოსეშვილია, არ უნდა მიმეტოვებინა. საქართველოში ჩემი გუნდიდან გუნდში გადასვლა დამთავრდა. „დინამოდან" მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ უცხოეთის გუნდები მიმიწვევენ.

**— ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ითამაშე ბელგიაში. შენით უცხოელები ხომ არ დაინტერესებულან?**

— პერსპექტიული კალათბურთელების შერჩევის მიზნით ფინალურ ტურნირზე მყოფ ამერიკელებს თავიდან სურდათ, მე და ვლადიმერ ბოისას შტატების რომელიმე კოლეჯში გაგვეგრძელებინა სწავლა. ამერიკელებსა და ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკებაც მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ ჩემთვის აღარავის მოუმართავს და არც ის ვიცი, რატომ ვერ შეთანხმდნენ. მათი საუბრის შინაარსი ჩემთვის უცნობია.

**— ამერიკაში თამაშზე კიდევ ოცნებობ?**

— კარგი იყო, ბელგიის ტურნირს ჩემთვის ამერიკისკენ გაეხსნა გზა, არადა, ჩემი ამპლუის ევროპელი მოთამაშისთვის იქ მოხვედრა თითქმის არარეალურია.

**— „დინამოსა" და მის წლევანდელ გეგმებზეც გვითხარი.**

— მართალია, ირაკლი მაისურაძე და ვანო მეჭურჭლიშვილი მოვისაკლისეთ, მაგრამ ირაკლი ხოშტარიასა და ვალერი კილაძის მოსვლით გუნდი საკმაოდ გაძლიერდა. თუ პირველ წრეში ინდივიდუალური ოსტატობით ვცდილობდით ფონს გასვლას, ამჯერად უფრო შეთამაშებულები ვართ. „დინამოს" პროგრამა-მინიმუმი პლეი ოფის ნახევარფინალში მოხვედრაა.

**როლანდ ლაბუჩიძე**

## კორაჩის თასი. მეოთხედფინალი

პირველი მატჩები. 10 თებერვალი

**პანიონისი (საბერძნეთი) — დიჟონი (საფრანგეთი)**

87:66 (40:37)

პანიონისი: კასოლი (6), კუპერი (4), დრელიოზისი (4), კამარიოტისი, კარაგუტისი (16), კიკილიასი (18), კუცოპულოსი (12), მიხალოსი, სიმსი (15), სტარაკოპულოსი (12)

დიჟონი: ბერნარდი (2), სალაბრია (14), დოპერტი (7), ეზუგვუ (2), ჰამი (7), კანტე, ლარსონი (10), ლაურე (24), მორენდე, სურუ

**დუკატო (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი)**

87:71 (45:40)

დუკატო: ალბერტი (6), ამაია (18), ბონელი, კორჩიანი (14), კორსონი, ლარსენი (7), მიდლტონი (24), მიტო (4), ოლივერი (13), როსეტი

ბარსელონა: ალდსონი (15), ჯორჯევიჩი (13), ჰერნანდესი, ესტელერი (3), ფერნანდესი (5), მონუერა, მალატრასი (21), ფეიჯო, რენციასი (21), როდრიგესი (2)

**ადეკო (ესპანეთი) — არსენალი (რუსეთი)**

77:59 (43:29)

ადეკო: დე ლა კუესტა (11), ბარსენასი, დე მიგელ ვილა, სანჩესი (7), მარტინესი (3), საბანასი (17), რობლესი (9), ტომპსონი (13), ვანდივერი (17), ვალასკესი

არსენალი: ანტიპოვი (12), კარიმოვი (4), ლავროვი, პეტრენკო (4), როგორელოვი (5), სოლოვიევი (6), სტრელკინი (8), ტენი, ვადეევი (7), იუდინი (13)

**ოსტენდე (ბელგია) — ბეშიქთაში (თურქეთი)**

93:65 (39:36)

ოსტენდე: ბაიერი (6), დე ბელი, დე საევერი (10), გუტალსი (7), იაუმინი (29), ჯერომი (15), ლოვერსი, ლოლისი (15), მიჩელი (8), ვან დერ სპეიგელი (3)

ბეშიქთაში: აიდინი, ბეშოკი (6), ბუიკაიჩანი, ჯენსი (13), კოზანი, პრასკევიჩუსი (4), ტემსოოზი (14), ტომპსონი (11), ვოლრიჩი (17), იუსერი

## საპორტას თასი. მერვედფინალი

პირველი მატჩები. 9 თებერვალი

**შარლერუა (ბელგია) — ბენეტონი (იტალია)**

66:70 (36:29)

შარლერუა: ბუჟა (7), სლეიმანსი (15), ელისი (4), გაილი, მარიონი (6), მორტონი (17), ორგიუზი, სტასი (15), ვეზერსპურნი (2)

ბენეტონი: ბანორა (3), დისპალატრო (2), პრატსი, მარკონატო (13), ვირჯინიო (12), ვიტისი (8), რებრაჩა (5), შმიდტი (9), სეკუნდა, ვილიამსი (18)

**პაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ხუვენტუდი (ესპანეთი)**

81:33 (38:47)

პაპოელი: ბალული, კურჩიჩი (24), ჰამილტონი (6), კარვერი (6), კაცი, შეფა (11), ტამირი, თორჯმენი (9), ვილიამსი (25), ზაიცკი

ხუვენტუდი: პერესი (8), კორალესი (5), დრამე, გუტიერესი (2), გრაგერა (2), ლოპესი (6), მიდლტონი (17), მურჩია, სანჩესი (14), სვინსონი (19)

**სპლიტი (ხორვატია) — პამესა (ესპანეთი)**

76:79 (45:32)

სპლიტი: გრგურევიჩი (11), ჰენჯაკი (4), მასურა, მამიჩი (7), მილერი (21), პოლაკი (4), სუბოტიკი, ვუიჩიჩი (15), ტურდიჩი (10)

პამესა: ა. გარსია (17), ს. გარსია, ბერნარდო (3), ლოპესი, გონი, ჰოპკინსი (16), ცისკარი (14), ბენედი (15), როდილა (12), სელერსი (2)

**ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი)**

86:68 (40:33)

ბუდუჩნოსტი: ბოსკოვიჩი (19), ბულატოვიჩი (24), სერანიჩი, ოსტოჯიჩი, პაიოვიჩი, რადონჯიჩი (10), რადუნოვიჩი (2), სტეფანოვიჩი (16), ტოპალოვიჩი (11), ვუკევიჩი (4)

სლოვაკოფარმა: ანდრუშკა (6), კუზნეცოვი (7), ლუკანეცი (2), მიხალიკი, მიჩუდა (3), რუსტანოვიჩი (19), სილტაუტასი (5), ზაბო (13), ზაგრავეცი (13)

**ულმი (გერმანია) — თოფაში (თურქეთი)**

65:74 (36:39)

ულმი: ასტი (1), აუტრი (15), კემნა (1), ლომერსე (7), ნესი (12), სვიტეკი (7), ვოლკერი (22)

თოფაში: ბაში (2), ერდენი, გრიფითი (9), ქონუქი (7), ოქური (2), რიმაჩი (11), რივერსი (24), როჯერსი (19)

**პივოვარნა (სლოვენია) — შოლე (საფრანგეთი)**

77:68 (37:28)

პივოვარნა: ბეჩიროვიჩი (9), დონჩიჩი (6), დრაგსიჩი (9), გუიოვიჩი (23), ჰაფნარი, იურაკი (4), კუნცი (3), ლისიჩა (23)

შოლე: დუბოსი (2), გიუტერი, ჰეიესი (17), ჰოველი (27), ჟენო (1), მიჩუდი (7), მილერი (12), ბრასერტი (2)

**ვენტსპილსი (ლატვია) — არისი (საბერძნეთი)**

73:65 (32:37)

ვენტსპილსი: ბერნატსი, ბუსკევიჩსი (15), იეფრისი (16), ლაკსა (10), მუიზნეკსი, სინსი (18), ვალეიკო (6), ვიტოლსი (4), ზეიდაკსი (4)

არისი: ანგელიდისი (5), ხრიზანტოპულოსი, ფლოროსი, გალაგტეროსი (10), კუხლი, ლიადელისი (19), მიხაილოვი (18), საგილასი (6), სიოუტისი (7)

**ტელეკომი (თურქეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია)**

70:85 (29:43)

ტელეკომი: ბენლი, ბერეინო (9), ბიბო (17), კოული (12), კულაჩი, მაკ გულოპი (16), ონარი (8), ოზმენი (2), პაინე (6)

პარტიზანი: ბრიკიჩი (20), კუბრილო, ჯუკიჩი (3), გილიჩი (8), ლუკოვსკი (21), რადოსევიჩი (12), სტევანოვიჩი (4), ტომაშევიჩი (17)



# დაუბრუნდება ინგლისი ევროპას?

საბოლოოდ რა შედეგი მოჰყვება ინგლისური და ფრანგული რაგბისტების გუშინდელ ბჭობას, დრო გვიჩვენებს, მაგრამ დღეს საქმეს ისეთი პირი უჩანს, საკითხი დადებითად გადაწყდება. მოლაპარაკების თემა კი ინგლისური კლუბების ევროპის თასის მომავალ გათამაშებაში მონაწილეობა იყო. წინა ტურნირში ინგლისელთა არყოფნამ რა შედეგიც მოიტანა, ყველამ კარგად იცის — თითქმის ყველაფერში ფრანგული გუნდები დომინირებდნენ, გარდა ამისა, იკლო ტელეკომპანიების ინტერსმა ამ გათამაშებისადმი. ეს კი არაფრით აძლევთ ხელს როგორც ტურნირის ორგანიზატორებს, ასევე მონაწილეებს. ალბიონელთა შარშანდელი უარი კი ინგლისის რაგბის კავშირსა და რაგბის საერთაშორისო საბჭოს შორის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული უთანხმოებებით და ტურნირის ჩატარების სტრუქტურისადმი ინგლისელთა უარყოფითი დამოკიდებულებით იყო გამოწვეული.

„იმედი მაქვს, რომ საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდება და ინგლისური კლუბები ევროსარბიელს დაუბრუნდებიან. ამის თქმის საბაბს კი ის მაძლევს, რომ თითქმის ყველას — ორგანიზატორებსაც და მონაწილეებსაც — სურს ინგლისური კლუბების ევროპის თასის გათამაშებაში ხილვა" — განაცხადა ინგლისის რაგბის კავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ბრაიან ბეისტერმა.

საფრანგეთის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტის, პატრიკ ვულფის თქმით, ისინი მხარს უჭერენ ინგლისელთა წინადადებას ტურნირის სტრუქტურის შეცვლის თაობაზე და ეს, ალბათ, გარდაუვალია, მიუხედავად იმისა, მხარს უჭერს თუ არა ამ სიახლეს საერთაშორისო საბჭო. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაბრუნდებიან ინგლისური კლუბები ევროსარბიელზე, თუ არა და, ამ პრობლემის მოგვარება კიდევ დიდხანს არ მოხერხდებაო.

მსგავსი მდგომარეობა ოთხი წლის წინათაც ყოფილა და მაშინაც ალბიონელთა არყოფნით ყველაზე მეტად ფრანგულმა კლუბებმა იხეირეს. შემდგომი ორი გათამაშებიდან კი ერთში ინგლისურმა „ბასმა" იმარჯვა, მეორედ კი „ლესტერი" ფინალში დამარცხდა.

# გეტლანდი შეგირდებს ენდობა

5 Nations

ხუთი ერის პირველობა

მომავალ შაბათს ხუთი ერის პირველობის მეორე ტურში უელსელებთან დასაპირისპირებლად ირლანდიის ნაკრებს შესაძლოა ენდი უორდი შეემატოს. დრო იყო, წარმოშობით ზელანდიელი უორდი „ვაიკატოში" ბურთაობდა, ახლა კი „ოლსტერის" ღირსებას იცავს. სწორედ „ოლსტერისა" და „კოლომიეს" ფინალურ მატჩში დაიზიანა მან მუხლი და ამიტომაც გამოტოვა პირველობის საწყისი მატჩი ფრანგების წინააღმდეგ.

შემადგენლობაში ასევე შეიძლება მოხვდნენ „ოქლენდის" ყოფილი მობურთალი როს ნესდეილი, ნილ ვუდსი და ტრევორ ბრენანი, თუმცა ეს ნაკლებსავარაუდოა. ირლანდიელთა თავკაცის უორენ გეტლანდის თქმით, ნესდეილი ჯერჯერობით სანაკრებო ფორმაში არ არის. რაც შეეხებათ ვუდსს და ბრენანს, ისინი იმ შემთხვევაში მოხვდებიან ნაკრებში, თუ ვიქტორ კოსტელო და დევიდ ჰამფრიზი თამაშს ვერ შეძლებენ. კოსტელომ ფრანგებთან პირველი ტურის მატჩში ნეკნი დაიშავა და ექიმებმა დაახლოებით ერთთვიანი იძულებითი დასვენება უწინასწარმეტყველეს. გეტლანდმაც ამიტომ მიიწვია ბრენანი შეკრებაზე, მაგრამ ექიმთა ვარაუდი არ გამართლდა — კოსტელო უკვე საკმაოდ მომჯობინდა და იმედი აქვს, რომ უელსთან მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება. მწვრთნელიც იძულებული გახდა, მობურთალი შეკრებაზე მიეწვია. საბოლოო არჩევანს კი იგი სამშაბათს გააკეთებს, მას შემდეგ, რაც ნაკრების წევრები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან. ჰამფრიზსა და ვუდსზე კი სპეციალისტებმა ის თქვეს, გეტლანდს უჯობს, ადგილი ვუდს ანდოს, რომელიც თავის გუნდში კარგი დამრტყმელია და სანაკრებო დონეზე თავისი ოსტატობის ჩვენების შანსი ჯერ არ ჰქონიაო. აი, ჰამფრიზი კი... სწორედ მან აცილა ირლანდია — საფრანგეთის შეხვედრის ბოლო წუთზე საჯარიმო, არადა, რომ გაეტანა, დაარღვევდა ბოლო 15 წლის უსიამო ტრადიციას — ირლანდიელთა პირველ მატჩში დამარცხებას. თუმცა უორენ გეტლანდმა ჰამფრიზის ნამოქმედარი იმ დღეს მქროლავ ძლიერ ქარს დააბრალა — მორაგბემ ტრაექტორია ვერ მოზომაო. ისე კი გეტლანდი იმითაა ცნობილი, რომ იშვიათად ცვლის შემადგენლობას. მისი აზრით, ნაკრების წარმატების საფუძველი კარგი დაცვა და რაც მთავარია, სტაბილური შემადგენლობაა. „აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ მოთამაშეებით, მათ ფრანგებთან მატჩში ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. ამიტომ ვერ გამიგია, რატომ უნდა შევცვალო შემადგენლობა, თუ, რა თქმა უნდა, ტრავმებმა არ მაიძულა, ასეთი ნაბიჯი გადავდგა. მე ბიჭებს ვენდობი და იმედი მაქვს, რომ ამჯერად გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება" — განაცხადა მწვრთნელმა და საზოგადოებას იმ 24 მობურთალის ვინაობა გააცნო, ვინც უელსთან დასაპირისპირებლად ემზადება: ოში, ბიშოპი, მეგსი, ბელი, ჰენდერსონი, დემფსი, ჰამფრიზი, ელვუდი, მაკგინესი, სკელი, კლოჰესი, უოლესი, ფიცპატრიკი, ვუდი, ნესდეილი, ჯონსი, დავიდსონი, გალვი, მილერი, ოკუინიგენი, კოსტელო, ბრენანი, უორდი, ვუდსი.

**პაატა თოთაძე**



სარბიელის არქივიდან

ვიქტორ კოსტელოს (მარცხნივ) თამაში მომავალ შაბათს უელსელთა წინააღმდეგ სათუოა

# კორდას საგას ბოლო არ უჩანს

ავსტრალიის ღია პირველობის შარშანდელი გამარჯვებულის, პეტერ კორდას უსიამოვნებებს ბოლო არ უჩანს: მის გარშემო ამტყდარი დოპინგ-სკანდალი არა და არ ცხრება.


სარბიელის არქივიდან

პეტერ კორდა

შეგახსენებთ, რომ ყოველივე შარშანდელ უიმბლდონზე დაიწყო. მეოთხედფინალში დამარცხების შემდეგ ჩეხს აკრძალული ნივთიერება ნანდროლონი აღმოუჩინეს და საქმე ნოემბერში გაურჩიეს. მაშინ კორდა მკაცრ სასჯელს გადაურჩა — განაცხადა, წარმოდგენა არ მაქვს, დოპინგი საიდან მოხვდა ჩემს სხეულშიო და მას ენდნენ კიდეც: ერთი წლით სპორტიდან მოკვეთის ნაცვლად ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) კომისიამ მხოლოდ უიმბლდონზე მოპოვებული საპრიზოები და საკლასიფიკაციო ქულები ჩამოართვა.

თუმცა საქმე ამით არ დასრულებულა. დეკემბერ-ნოემბერში კორდას არასაკმარისად მკაცრი სასჯელის გამო არაერთმა ჩოგბურთელმა გამოთქვა პროტესტი და ITF-საც საკუთარი პოზიციის სასწრაფოდ შეცვლა მოუხდა — მან სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში (CAS) მოინდომა კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება.

აქ კი უკვე კორდას ბანაკი აღშფოთდა. ჩეხის ადვოკატებმა განაცხადეს, ფედერაციას გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება თავისივე წესებით არა აქვს, ანტისადოპინგო პროგრამა ყოველგვარი დავის „სწრაფი და საბოლოოდ“ მოგვარებისთვისაა მოწოდებული და ინგლისის უმაღლეს სასამართლოს აპელაციის უკანონობის დადგენა სთხოვეს.

თებერვლის დასაწყისში გამართულ განხილვაში გამარჯვებული კორდა დარჩა. „თითქმის წარმოუდგენელია, რომ იმავე საკითხზე კიდევ ერთი პროცესი შედგეს, იმ უზარმაზარი თანხებისა და მხარეთა თუ მოწმეთათვის მიყენებული უსიამოვნებების გათვალისწინებით“ — განსაჯა მოსამართლემ.

მაგრამ ჩეხის სიხარული ნაადრევი გამოდგა. იმავე მოსამართლემ ITF-ს თავისი გადაწყვეტილების ინგლისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების უფლება მაინც დაუტოვა და სავსებით შესაძლებელია, უახლოეს 28 დღეში ფედერაციამ ერთხელაც მიიტანოს იერიში.

„ჩვენ უნდა დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ, ჩოგბურთისთვის უკეთესი რა იქნება. პროფესიონალურ ასოციაციებსაც ვთხოვთ საკუთარი აზრის გამოთქმას და შეიძლება უკან არც ამჯერად დავიხიოთ — განაცხადა ფედერაციის ერთ-ერთმა თავკაცმა ალან ჯეიმსმა, რომელმაც კორდას საქმეს „ჭკუის სასწავლი“ უწოდა და მისგან შესაბამისი დასკვნების გაკეთება მოითხოვა — ჩვენ, ალბათ, საკუთარ წესებს გადავხედავთ და კიდევ უფრო გავამკაცრებთ. ჩოგბურთელების თანხმობით, დოპინგისთვის სასჯელსაც ორ წლამდე გავზრდით“.

ამასობაში კი შეჭირვებულ კორდას მორიგი ქვა დაეწია: ჩეხეთის ჩოგბურთის ფედერაციამ მას ქვეყნის სახელით (ესე იგი, დევისის თასზე) და სამშობლოში გამართულ ტურნირებზე ასპარეზობა აუკრძალა.

ამჟამად დუბაის ღია პირველობაზე მოთამაშე ჩეხმა, რომელიც თავს სრულიად უდანაშაულოდ მიიჩნევს, კიდევ ერთი დარტყმა გაოცებით მიიღო: „ვერ გამიგია, ასეთი რამ რატომ გამიკეთეს. ჩემი ფედერაცია მაინც გაგებით მეკიდებოდა ხოლმე, ახლა კი არც ახსნა-განმარტება უთხოვიათ და არც წინასწარ შეუტყობინებიათ რაიმე. არადა, აკრძალვა ჩემზე თითქმის არანაირ ზეგავლენას არ ახდენს, ჩეხეთში მხოლოდ მშობლების მოსანახულებლად ჩავდივარ, დევისის თასზე კი უკვე ორი წელია, არ მითამაშია“.

იმავე პრესკონფერენციაზე კორდამ აღიარა, მომხდარმა ძალიან შემცვალაო: „არ ვიცი, ეს ცვლილება უკეთესობისკენაა თუ უარესობისკენ, მაგრამ საბედნიეროდ, ოჯახი და მეგობრები ისევ ჩემს გვერდით არიან. ის რომ შევიგნო, თუ რა გადამხდა თავს, შეიძლება წლები დამჭირდეს“.

კლასიფიკაციაში მეორე ჩოგნობიდან 76-ეზე ჩამოქვეითებული ჩეხი ამიერიდან საკუთარი პრიორიტეტების გადასინჯვასაც აპირებს. სექტემბრიდან მისი ქალიშვილი ჯესი სკოლაში უნდა შევიდეს და ამის გამო ამერიკის ღია პირველობის გაცდენაც კი არ არის გამორიცხული: „მალე ჩოგბურთელობაზე მეტად მამის პროფესიის ათვისება და შინ მეტი ხნით ჯდომა მომიხდება... ძალიან ვღელავ, არ მინდა, რომ ამ სკანდალმა ჯესის რაიმე უსიამოვნება მოუტანოს სკოლაში“.

დუბაიში მაყურებლები კორდას თბილად შეხვდნენ, მაგრამ ჩეხი წინა ტურნირებზე ზოგიერთი ქომაგის უხეშ დამოკიდებულებას გაუოცებია და დაუმწუხრებია კიდეც: „მეგონა, ხალხის 99 პროცენტი დამიჭერდა მხარს, მაგრამ შევცდი. პასუხს მაინც არავის გავცემ, თუ შეურაცხყოფას არ მომაყენებენ, ან ჩემს ოჯახს არ შეაწუხებენ“.

თავის ბედს კორდა უახლოეს რამდენიმე კვირას ან თვეს უკავშირებს — იმის მიხედვით, თუ რარიგ წარმატებულად ითამაშებს, ასპარეზობის გაწრიგს ან შეამცირებს, ან სულაც წავა სპორტიდან: „ყველაფერი ჩემს ხელშია, თავად თუ შევძლებ, პრობლემებს გავუმკლავდე. არც იმას ვთხოვ ვინმეს, გაგებით ან კარგად მომექცეს“.

# გუგამ რონალდოს აჯობა

როლან გაროსის 1997 წლის ჩემპიონს, 22 წლის გუსტავოს, მეტსახელად გუგა კუერტენს, სამშობლოში ძალიან აფასებენ.

ბრაზილიის ყველაზე პოპულარულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა ISTO-მ შარშან საუკუნის 20 საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად გამოკითხვა ჩაატარა. მკითხველებს ჯერ 30 კაცი უნდა შეერჩიათ, რომელთაგან რჩეულებს უკვე ჟურნალისტები, მწვრთნელები და ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვა ცნობილი პიროვნებები დაასახელებდნენ.

ხმათა 21,8 პროცენტით კუერტენი მე-16 ადგილზე გავიდა და თვით რონალდოს, ბოლო წლების მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, გაუსწრო. პირველი ადგილი ფორმულა 1-ის ლეგენდარულ მრბოლელ აირტონ სენას ერგო, რომელმაც პელე, გარინჩა, მრბოლელი მერსონ ფიტიპალდი, კალათბურთელი ოსკარ შმიდტი და კიდევ ერთი ჩოგბურთელი მარია ესტერ ბუენო მოიტოვა უკან.

„საუკუნის 20 საუკეთესო სპორტსმენის სიაში ორი ჩოგბურთელის ხილვა იმ ქვეყანაში, სადაც ფეხბურთს აღმერთებენ, დიდი მოულოდნელობაა. ძალიან გამიხარდა, რომ ხალხი ჩემს სპორტსაც ასე აფასებს“ — განაცხადა გუგამ.

არადა, ბოლო ხანებში კუერტენს გასახარი ბევრი არაფერი ჰქონდა. შესანიშნავად ჩატარებული სეზონის შემდეგ გუგამ შარშან მნიშვნელოვნად უკლო თამაშს, დიდი სლემის ტურნირებზე ღირებული ვერაფერი გააკეთა და საუკეთესო ათეულიდან არა, ოცეულიდანაც კი გავარდა.

ნოემბერში ყოველივე ამას ლოგიკური ახსნაც მოეძებნა — ბრაზილიელს თურმე მხედველობა გაუუარესებია: „აღმოვაჩინე, რომ მეტოქის დარტყმულ ბურთს ხშირად ბოლო მომენტშიღა ვამჩნევდი და პასუხის გასაცემადაც ცოტა დრო მრჩებოდა“.

მეხიკოს ტურნირის შემდეგ კუერტენმა, როგორც იქნა, ექიმთან შევლა მოიფიქრა და ფრიად გულდასაწყვეტი ამბავი გაარკვია — მას ახლომხედველობა დაუდგინეს: „უახლოეს ხანებში გადავწყვეტ, ლინზები ვატარო თუ სათვალე. ისე, ამან ჩემზე ძალიან ცუდი ზეგავლენა მოახდინა, კარგა ხანს უგუნებოდ ვიყავი და არაფრის ხალისი არ მქონდა“.


სარბიელის არქივიდან

კურტენი დედასთან ერთად

ავთანდილ სვანიძე



# პაატა გვასალია: დავბრუნდი!

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— პაატა, აქედან წასული ბევრი მინახავს, უკან დაბრუნებული კი... შენი გადაწყვეტილების ამბავი რომ გავიგე, მართალი გითხრა, გამიკვირდა, ვიცი, რუსეთში კარგად მოეწყვე, სახელი და დიდება არ გაკლდა, შენ კი ადექი და იქაურობა მიატოვე.**

— ვიდრე რუსეთიდან წამოსვლის მიზეზებზე ვისაუბრებდე, მანამდე 1993 წელსაც გავიხსენებ, იმ დროს, როცა საქართველოდან წავედი. ხომ გახსოვთ, როგორი პერიოდი იყო? ჩვენში სპორტისთვის არავის ეცალა, ყველას იარაღისკენ ეჭირა თვალი, მოკრივისთვის საჭირო სავარჯიშო პირობებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სხვა გზა არ დამრჩენოდა, როგორც სპორტსმენს, თავი უნდა გადამერჩინა და ბურსაში, ევროპის ჩემპიონატის მერე, მე და რამაზ ფალიანმა რუსეთს მივაშურეთ. ამის გამო მოღალატეც კი მიწოდეს და რუსად მომიხსენიებდნენ, მაგრამ ყველამ იცოდეს, პაატა გვასალიას საქართველოსთვის არასდროს უღალატია, მით უფრო, რუსობას ვერაფრით დავიბრალებ. ერთი სიტყვით, ხუთი წელი დავყავი რუსეთში და ამ ხნის მანძილზე საკმაო წარმატებებსაც მივაღწიე, ახლახან კი 1998 წლის რუსეთის საუკეთესო მოკრივედაც მაღიარეს. თბილისში ამბობდნენ თურმე, გვასალიას რუსები ნაკრებში აღარ იწვევენ და ამიტომაც დაბრუნდა საქართველოშიო. მსგავსი არაფერი ყოფილა. რაც მოსკოვში გადავედი, ხუთჯერ მოვიგე იქაური ჩემპიონატი და რუსებთან ერთი ბრძოლა რაა, ისიც არ წამიგია, აქ სხვა რამაა უფრო მნიშვნელოვანი. კარიერის ბოლო წლებში მსურს, კვლავ საქართველოს სახელით გამოვიდე და ქართული კრივისთვის რაღაც გავაკეთო, მით უფრო, სიდნეის ოლიმპიადა ახლოვდება და დამეთანხმებით, ურიგო არ იქნება, სამშობლოს ოლიმპიური მედალი მოვუტანო, მერე კიდევ: ჩემი ფოთი მომენატრა, ალბათ მართალია, როცა ამბობენ — ქართველი კაცი უსამშობლოდ დიდხანს ვერ სძლებსო, მეც ასე დამემართა.

**— ზემოთ თავის გადარჩენა ახსენე, რას გულისხმობდი?**

— მოკრივე პაატა გვასალიას გადარჩენას. აქ რომ დავრჩენილიყავი, პროფესიონალად. ვერ ჩამოვყალიბდებოდი. რუსეთში გატარებულმა ხუთმა წელმა კი ბევრი რამ შემძინა. რუსული საკრივო სკოლა მოყვარულებში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება, მათი ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი ხრომოვიც ჩინებული სპეციალისტია. აქვე გეტყვით, რომ ხრომოვის დიდი მადლიერი ვარ. ეს კაცი თან გადამყვა და ჩემი დიდი გულშემატკივარიც იყო. როცა საქართველოში დაბრუნების თაობაზე ვამცნე, გული კი დასწყდა, მაგრამ გზა დამილოცა და წარმატებებიც მისურვა. ასევე კაცურად მომექცა რუსეთის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, დუმის დეპუტატი ანატოლი ბიკოვი. 29 იანვარს კი, ჩემს დაბადების დღეზე, კრასნოიარსკში რუსეთის საუკეთესო მოკრივისთვის დაწესებული პრიზი გადმომცეს, ფულადი პრემიაც არ დაიშურეს და კარგი ქეიფიც გამართეს. ერთი სიტყვით, ასე გამომაცილეს რუსეთიდან.

**— და საქართველოში ჩამოხვედი, ცხადია, შენი დონის სპორტსმენს ნებისმიერი ქვეყანა ხალისით მიიღებს, მით უფრო, თუ იქ ხარ დაბადებული და გაზრდილი. მართალია, 1993 წლის მერე ჩვენთან ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა, მაგრამ სპორტსმენებს დალხინებული ცხოვრება აქვთო, ამას ნამდვილად ვერ იტყვის კაცი...**

— გეთანხმები, ჩვენში მართლაც უკეთესობისკენ წასულა საქმე. რაც მთავარია, სიმშვიდეა და შეჯიბრებებისთვის ნორმალურად მომზადება შეიძლება. ჩამოსვლისთანავე შევხვდი ქართული სპორტის თავკაცებს და ჩემს მომავალზე ვისაუბრეთ, სახელმწიფო დეპარტამენტმა ხელფასი 500 ლარი დამინიშნა, ოლიმპიური კომიტეტი სტიპენდიის სახით 500 დოლარს მომცემს, ასეთი პირობები სავსებით მაკმაყოფილებს და მეც ვარჯიშისა და შრომის მეტი აღარაფერი დამრჩენია.

**— თუ საიდუმლო არაა, რუსეთში როგორი ანაზღაურება გქონდა?**

— კრივის ფედერაციაში თვეში 1000 დოლარს მაძლევდნენ, ბინაც მიქირავეს, საერთოდ კი, რუსულ კრივს იქაური ბიზნესმენი, ხარიტონოვი პატრონობდა, მაგრამ მერე რაღაც შარში გაეხვია და სიცოცხლეც ტრაგიკულად დაასრულა.

**— „ტოიოტაც“ ფედერაციამ მოგცა?**

— არა, შარშან, ირკუტსკში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ყველაზე ტექნიკურ მოკრივედ დამასახელეს და მანქანაც მაშინ მაჩუქეს.

**— ხუთი წელი შენს წონაში რუსეთის საუკეთესო მოკრივე იყავი და, ცხადია, ჟურნალისტთა ყურადღებაც არ მოგაკლდებოდა.**

— რუსულ პრესასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, განსაკუთრებით კი „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტთან, ჩემს თანაქალაქელ ბორის ვალიევთან, რომელიც კარგა ხანია, მოსკოვში ცხოვრობს და იქ საქმიანობს.

**— ერთიც მინდა გკითხო, მოსკოვში კავკასიელებს მაინცდამაინც არ სწყალობენ, ყოველ შემთხვევაში, ამაზე ბევრი მსმენია, შენც ხომ არ მოგიწია ურთიერთობა იქაურ სამართალდამცავებთან?**

— კი, იყო ერთი შემთხვევა, ქუჩაში მივდიოდი მანქანით და გამაჩერეს, თურმე იმ დღეებში მილიციელი მოუკლავთ და, როგორც სჩვევიათ, ყველაფერი კავკასიელებს დააბრალეს. ვუხსნი რუს მილიციელებს, მოკრივე ვარ, პაატა გვასალია, რუსეთის სპორტის დამსახურებული ოსტატი-მეთქი, არაფერმა გასჭრა, მერე ფოტო ვაჩვენე, რომელზედაც მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინთან ერთად ვარ აღბეჭდილი, ამანაც არ მიშველა და წამიყვანეს განყოფილებაში. იმის უფლება კი მომცეს, ტელეფონით მესარგებლა, საბოლოოდ ეს ამბავი ასე დამთავრდა — მილიციელები სამსახურიდან დაითხოვეს და მე კი, კაცი არ მომიკლავს და სუფთა ჰაერზე გამომიშვეს.

**— პაატა, მოსკოვში მოღვაწე ქართველ სპორტსმენებთან თუ გქონდა ურთიერთობა?**

— ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გოგი კოღუაშვილთან ვმეგობრობდი. ძალიან მინდოდა ფეხბურთელ ზაზა ჯანაშიას გაცნობა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ზაზა ფეხბურთის იქაურ გურმანებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და მეც ჩემი თვისტომის ასეთი აღიარება, ცხადია, მიხაროდა.

**— ახლა კვლავ საქართველოს დავუბრუნდეთ და ორიოდ სიტყვით სამომავლო გეგმებზეც გვითხარი.**

— წლეულს შემოდგომაზე ფილიპინებში მსოფლიოს ჩემპიონატია, მერე კი ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირები იწყება და მეც ამ შეჯიბრებებისთვის მოვემზადები. მანამდე კი, 16 მარტს ბათუმში საქართველოს ჩემპიონატი ტარდება და იქაც ვიკრივებ.

**— ალბათ, იცი, გიორგი კანდელაკმა და კობა გოგოლაძემ პროფესიულ რინგზე ჩხუბი ირჩიეს, ასე რომ, საქართველოს მოკრივეთა ნაკრების ლიდერობა შენ უნდა იტვირთო.**

— ამისთვის მზად ვარ, გამოცდილება საკმაოდ დამიგროვდა და, ვფიქრობ, შემიძლია ახალგაზრდებს კარგი მაგალითი მივცე. კანდელაკი და გოგოლაძე ახსენე და, იცი, რა გავიფიქრე? ჩვენი თაობის მოკრივეები — ფალიანი, კაკაურიძე, კანდელაკი, გოგოლაძე, ბარავი და მე ახლა რომ ერთად შეგვყარა, საქართველოს ნაკრები, ალბათ, არავის დააჩაგვრინებდა თავს.

**— პროფესიონალებში გადასვლაზე თუ გიფიქრია?**

— მქონდა წინადადებები, მაგრამ არ ვჩქარობ, ჯერ სიდნეის ოლიმპიადაზე მინდა წარმატებას მივაღწიო, ეს ჩემთვის მესამე ოლიმპიადა იქნება, წინა ორში უიღბლობის გამო დავიჩაგრე და იქნებ მესამედ მაინც გამიმართლოს.

სოსო კოტორაშვილი

# ჯუბა გაიხადე, ფილ!




მექრთამეობაში მხილებულ სოკ-ელ მამათა 14-კაციან სიას ხუთშაბათს კიდევ რამდენიმე წარჩინებული სახელი შეემატა. როგორც სოლტ ლეიკის „ზნეობათა და უზნეობათა საბჭოს“ მიერ გამოქვეყნებულმა მრავალთაბაზიანმა დოკუმენტმა ცხადყო, ოლიმპიადის მასპინძლობას ადევნებული ქალაქის არაოფიციალური კეთილგანწყობით თავ-თავის დროზე თურმე კიდევ 10 დიდმოხელესაც უსარგებლია. ამათგან ორს — ავსტრალიელ ფილიპ კოულზსა და გვატემალელ უილი კალტშმიტს — სოლტ ლეიკში მასპინძელთა ხარჯზე ოთხგზის დედაწულიანად სალაღობუცოდ სტუმრობა ბრალდებათ.

ავსტრალიელ ეჭვმიტანილს, რომელსაც თავისი 67-წლიანი ცხოვრების უდიდესი ნაწილი სიდნეის პლაჟებზე ტალღებთან ქაქუნსა და წყალნაყლაპი ხალხის გადარჩენაში გაუტარებია, სოლტლეიკელ ზნეობის მოდარაჯეთა დასკვნებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გააჩნია. მისტერ კოულზი აცხადებს, რომ იგი იუტაში მხოლოდ ერთხელ და ისიც ოფიციალური ვიზიტით იყო, რომ ხუან ანტონიო სამარანჩს ამის შესახებ ყველაფერი კარგად მოეხსენება და, საერთოდაც, აჯობებდა, სოლტლეიკელ ექსპერტებს ამ სისულელის დაბეჭდვამდე მასთან დარეკვა და ინფორმაციის გადამოწმება არ დაზარებოდათ.

სხვაფრივ კი, სიდნეელი ჩინოვნიკი მის მიერ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრის 17 წლის განმავლობაში კაცურად ნატარებ ჯუბას ამ საქმის უზენაეს საბჭოში განხილვამდე თავისი ნებით შეელევა და მას მხოლოდ „ბინძური ჭორების ჩაცხრომის შემდეგ უკუმოიცვამს.“ ეს მართლა ასე მოხდება თუ სხვანაირად, ჯერ არავინ იცის, ისე კი, ამ საქმეში ჯუბაგახდილი ბევრი უნახავთ, ჯუბამოცმული კი — არავინ.


REUTERS

ფილიპ კოულზი თავს იმართლებს



# აქ თამაშები ყოფილა!

10 თებერვალი

**ტორონტო — კაროლინა 5:6**
**2:2 1:2 2:2**

1:0 ბერეზინი 11'4 (19); 1:1 ჟეელინა 14'30 (8); 1:2 ფრენსისი 18'04 (9); 2:2 ბერეზინი 18'47 (20); 2:3 შეპარდი 25'27 (19); 3:3 ბერეზინი 49'39 (21); 3:4 დაინინი 32'33 (8); 4:4 სალივანი 44'43 (11); 4:5 ფრენსისი 47'10 (10); 4:6 რანჰეიმი 53'32 (5); 5:6 მოდინი 59'54 (3)

შაბათს, 13 თებერვალს, ნჰლ-ის მატიანეში კიდევ ერთი ფურცელი გადაიშლება. ნჰლ-ის უძველეს არენაზე 67 წლის „Maple Leaf Garden“-ზე ბოლო თამაში ჩატარდება. ტორონტოელების ყველა დიდი გამარჯვების მოწმე სტადიონი ამის შემდეგ დადუმდება, კლუბი კი თანამედროვე „Ice Canada Centre“-ში გადაბარგდება. მისი გახსნის ცერემონიალი 20 თებერვალს, მონრეალთან თამაშის წინ გაიმართება. ცხადია, მასპინძლებს გულით სურდათ, „გარდენში“ ჩატარებული ბოლო მატჩები მოეგოთ და ყველაფერი გააკეთეს ამისათვის. რუსული დუეტის, ბერეზინ (ნჰლ-ში პირველი ჰეთ-თრიქი)—კოროლიოვის (3 პასი) ძალისხმევით შთამბეჭდავად უტევდნენ, თითქოს გამარჯვებაც გაინაღდეს (ყოველ შემთხვევაში, მანამდე ხუთი გოლი ყოველთვის ტორონტოელთა მოგების საწინდარი იყო), მაგრამ სტუმართა შორის თამაშობდა 35 წლის რონ ფრენსისი. იგი შარშან თვით იაგრის პარტნიორი იყო. ამჯერად ფრენსისი 1300-ე მატჩს ატარებდა ნჰლ-ში და ამაღლებულ განწყობილებაზე გახლდათ. როგორც თავად თქვა, უამრავ „დიდ“ მატჩშიც უთამაშია „გარდენში“ და მასთან გამომშვიდობება თავისებურად აღნიშნა — ჩვეულ საპლეიმეიკერო ფუნქციებს (3 პასი) ორი გოლიც დაამატა და... მისი გუნდი დივიზიონის სათავეშიც მოექცა.

**ანაჰაიმი — ფილადელფია 5:4**
**2:0 1:2 2:2**

1:0 სელიანე 7'25 (23); 2:0 ოლაუსონი 8'58 (13); 2:1 ლანგკოუ 31'03 (9); 3:1 სელიანე 33'35 (24); 3:2 ლინდროსი 35'46 (30); 4:2 რუჩინი 44'40 (18); 5:2 ოლაუსონი 46'18 (14); 5:3 ლეკლერი 49'41 (34); 5:4 ლინდროსი 57'04 (31).

ამ შთამბეჭდავ და უაღრესად საინტერესო მატჩში ყველაფერი იყო, რაც ჰოკეის ამშვენებს — ლამაზი გოლები, სწრაფი კომბინაციები, ლიდერთა შედეგიანი თამაში. ფილადელფიელთა წამყვანმა დუეტმა, ერიკ ლინდროსმა და ჯონ ლეკლერმა, სამი შაიბა მიითვალა, თანაც პირველმა ოთხივე გოლში დაიდო წილი და კვლავ მიუახლოვდა ბომბარდირთა სიის სათავეში მყოფ იარომირ იაგრს. თუმც მატჩის საუკეთესო მოთამაშე მასპინძელთა მცველი ფრედრიკ ოლაუსონი გახდა, რომელმაც, ისევე როგორც ლინდროსმა, 4 (2+2) ქულა მოიპოვა, გადამწყვეტი გოლი გაიტანა და ანაჰაიმელთა მიერ რიცხვმრავლობაში შეგდებული სამივე შაიბაც მისი მომზადებული გახლდათ.

**ფინიქსი — ლოს ანჯელესი 3:0**
**0:0 0:0 3:0**

1:0 ადამსი 42'29 (12); 2:0 ადამსი 51'10 (13); 3:0 რენიკი 53'54 (18)

ლოს ანჯელესისთვის ფინიქსის მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი გადაულახავ ზღუდედ იქცა. წლეულს ამ გუნდებს შორის ჩატარებულ 5 თამაშში რუსმა მეკარემ ისინი სამჯერ დატოვა მშრალზე.

**ჩიკაგო — სან ხოსე 2:5**
**1:1 0:1 1:3**

0:1 ნორტონი 2'31 (2); 1:1 ემერსონი 5'01 (12); 1:2 მერფი 38'18 (13); 2:2 ჩელიოსი 46'43 (6); 2:3 ჰოულდერი 48'48 (5); 2:4 მერფი 52'32 (14); 2:5 მარლო 59'29 (13)

ჩიკაგოს თავკაცი დირკ გრეჰემი თავზარდაცემულია: „აღარ ვიცი, რა ვქნა. ბიჭები ჩემს დარიგებებს აინუნშიც არ აგდებენ. დღესაც მთელი მატჩი ისე რომ ჩაეტარებინათ, როგორც პირველ მესამედში ითამაშეს, ხომ გავიმარჯვებდით“ — ბრაზობდა იგი ურჩ შეგირდებზე, რომელთაც პლეი ოფში გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგეს. „ქორები“ ყველაზე მეტად მათმა ყოფილმა თანაგუნდელმა ჯო მერფიმ გაამწარა.

**ტამპა — სენტ ლუისი 4:5**
**2:1 2:2 0:2**

1:0 გრეტონი 0'52 (3); 1:1 დემიტრა 4'09 (24); 2:1 ჰოგი 15'59 (5); 2:2 პელერინი 21'04 (12); 2:3 იანგი 21'24 (12); 3:3 ტაკერი 36'05 (13); 4:3 ტაკერი 38'25 (14); 4:4 დემიტრა 49'06 (25); 4:5 იეიკი 55'37 (6)

სანახევროდ შევსებული „ICE PALACE“ სტუმრებს ქომაგობდა. მართლაც მოსაბეზრებელია საყვარელი გუნდის გამუდმებული უხეირობა.

**სამველ ღარიბიანი**


REUTERS ტორონტოდან

ტორონტო — კაროლინა. კაროლინელმა მარეკ მალიკმა ერთი დარტყმით ორი ტორონტოელი, სტივ სალივანი (მარცხნივ) და მატს სუნდინი ბრძოლიდან გამოთიშა

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო—აღმოსავლეთი | | | | | | | ატლანტა | | | | | | | წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 51 | 28 | 8 | 15 | 149:111 | 64 | ფილადელფია | 51 | 28 | 12 | 11 | 163:105 | 68 | დალასი | 48 | 30 | 8 | 10 | 141:99 | 68 |
| ტორონტო | 52 | 30 | 3 | 19 | 170:155 | 63 | ნიუ ჯერსი | 52 | 29 | 6 | 17 | 150:131 | 64 | ფინიქსი | 51 | 28 | 10 | 13 | 136:103 | 66 |
| ბუფალო | 51 | 24 | 9 | 18 | 136:109 | 57 | პიტსბურგი | 49 | 27 | 7 | 15 | 154:129 | 61 | ანაჰაიმი | 52 | 21 | 9 | 22 | 135:129 | 51 |
| ბოსტონი | 52 | 22 | 9 | 21 | 132:120 | 53 | რეინჯერსი | 51 | 20 | 7 | 24 | 137:140 | 47 | სან ხოსე | 52 | 18 | 12 | 22 | 119:122 | 48 |
| მონრეალი | 54 | 20 | 8 | 26 | 122:142 | 48 | აილენდერსი | 53 | 16 | 5 | 32 | 126:164 | 37 | ლოს ანჯელესი | 52 | 19 | 4 | 29 | 122:140 | 42 |
| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | | ცენტრი | | | | | | | ჩრდილო-დასავლეთი | | | | | | |
| კაროლინა | 53 | 24 | 9 | 20 | 138:134 | 57 | დეტროიტი | 53 | 26 | 4 | 23 | 155:136 | 56 | კოლორადო | 53 | 29 | 4 | 20 | 144:126 | 62 |
| ფლორიდა | 51 | 19 | 13 | 19 | 129:137 | 51 | სენტ ლუისი | 50 | 21 | 9 | 20 | 138:131 | 51 | ედმონტონი | 51 | 20 | 8 | 23 | 140:132 | 48 |
| ვაშინგტონი | 51 | 21 | 4 | 26 | 129:133 | 46 | ნეშვილი | 52 | 18 | 5 | 29 | 119:167 | 41 | კალგარი | 54 | 18 | 8 | 28 | 133:158 | 44 |
| ტამპა | 52 | 11 | 4 | 37 | 106:189 | 26 | ჩიკაგო | 53 | 14 | 8 | 31 | 114:169 | 36 | ვანკუვერი | 52 | 17 | 7 | 28 | 132:158 | 41 |

*ბომბარდირები:* იაგრი (პიტსბურგი) 77 (24+53); ლინდროსი 74 (31+43); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 68 (34+34); კარია 67 (23+44); სელიანე (ორივე — ანაჰაიმი) 63 (24+39); ფორსბერგი (კოლორადო) 61 (15+46); ფლერი (კალგარი) 58 (26+32); იაშინი (ოტავა) 58 (23+35); საკიკი (კოლორადო) 56 (24+32); ბრინდამორი (ფილადელფია) 53 (19+34); სუნდინი (ტორონტო) 53 (17+36)

მიუხედავად იმისა, რომ რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ორ თვეზე მეტი რჩება, ახლავე შეიძლება ლიგის ტრადიციული პრიზების მომავალ მფლობელთა დასახელება. ტელეკომპანია **CBS**-მა მკითხველებს ინტერნეტის მეშვეობით საკუთარი ვაირანტი წარუდგინა

# CBS-მა თქვაო...

**Hart Trophy** — ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშე

*გამარჯვებული:* ერიკ ლინდროსი (ფილადელფია)

მთავარმა „მფრინავმა“ წლეულს შესანიშნავი თამაშით ყველა სკეპტიკოსი (მათ შორის კლუბის გენერალური მენეჯერი ბობი კლარკი) გააჩუმა.

*ფინალისტი:* ალექსეი იაშინი (ოტავა)

აქ ერთი რამაა სათქმელი — იაშინზე ნაკლები სარგებელი პიტსბურგელ იარომირ იაგრს როდი მოაქვს.


სარბიელის არქივიდან

ერიკ ლინდროსი

**Calder Tropy** — საუკეთესო ახალბედა

*გამარჯვებული:* ბილ მუკალტი (ვანკუვერი)

უფერულად მოთამაშე თანაგუნდელთა შორის 23 წლის ახალბედა ნამდვილად ბრწყინავს. ჩემპიონატი დაიწყო თუ არა, ბილ მუკალტი დებიუტანტ ბომბარდირთა სიას გაუძღვა და მას აქეთ ლიდერობს.

*ფინალისტი:* კრის დრური (კოლორადო)

იგი ჩინებულია დაცვაში და შეუძლია, 40 ქულით დაასრულოს სეზონი.

**Norris Trophy** — საუკეთესო მცველი


სარბიელის არქივიდან

ელ მაკინისი

*გამარჯვებული:* ელ მაკინისი (სენტ ლუისი)

ვეტერანი თითქოს გაახალგაზრდავდაო, მისი უძლიერესი დარტყმა კი კვლავინდებურად შიშის ზარს სცემს მეკარეებს.

*ფინალისტი:* კრის პრონგერი (სენტ ლუისი)

პრონგერი მართლაც კარგია, მაგრამ გარჯა რომ დაუფასდეს, შედეგიანობის ამაღლება მართებს. მაგალითებიც საკმაოდ აქვს — თუნდაც ფილადელფიელი ერიკ დეჟარდენი ან ანაჰაიმელი ფრედრიკ ოლაუსონი.

**VEZina Trophy** — საუკეთესო მეკარე

*გამარჯვებული:* დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო)

წლეულს „დომინატორი“, როგორც ჩანს, მხოლოდ ამ პრიზს უნდა დაყაბულდეს, რადგან შარშანდელი დახვეწილობით თავს ვერ მოიწონებს.

*ფინალისტი:* ჯონ ვანბისბრუკი (ფილადელფია)

34 წლის „ბიზერმა“ კლუბის მესვეურებს არაერთი პრობლემა მოუგვარა.

**SELKE Trophy** — დაცვითი ფუნქციების მარჯვე შესრულებისთვის

*გამარჯვებული:* მაიკ პეკა (ბუფალო)

კლუბის მწვრთნელ ლინდი რაფის თქმით, პეკა დაცვითი ფუნქციისგან რომ გაათავისუფლო, ყველაზე ცოტა 70 ქულას დააგროვებს.

*ფინალისტი:* იერე ლეჰტინენი (დალასი)

შარშანდელი ლაურეატი ძველებურად ილვწის, მაგრამ სხვებსაც ხომ უნდა დაუთმო ასპარეზი.

**Adams Award** — საუკეთესო მწვრთნელი

*გამარჯვებული:* პეტ ქუინი (ტორონტო)

იგივე მოთამაშეები, მაგრამ სრულიად განსხვავებული სტილი. ცხადია, ქუინის დამსახურებაა.

*ფინალისტი:* რობი ფტორეკი (ნიუ ჯერსი)

ფტორეკისეული ნიუ ჯერსი ეშმაკისგან მომხიბლავ ეშმაკუნად იქცა.

**Lady Bing Trophy** — ყველაზე ჯენტლმენური ყოფაქცევისთვის

*გამარჯვებული:* უეინ გრეცკი (რეინჯერსი)

რა დრო დადგა — რა პრიზებით ასრულებს „დიადი“ თავის კარიერას...

*ფინალისტი:* ნიკალას ლიდსტრიომი (დეტროიტი)



REUTERS ლოს გიგანტესიდან



ოცდაექვსი წლის ნორვეგიელი ელიზაბეთ ჰოფი მსოფლიოში პირველი ქალია, ატლანტიკის ოკეანის ნავით გადაცურვა რომ გაუბედია. 7 თებერვალს ჰოფმა კანარის კუნძულებიდან, ნავსადგურ ლოს გიგანტესიდან გასცურა და გეზი ვესტ ინდოეთისკენ დაიჭირა. სავარაუდოდ ას დღეში ის რომელიმე კარიბულ ქვეყანას მიადგება.

# ო ჯეი იყიდება!



16 თებერვალს ლოს-ანჯელესის მავანი სააუქციონო სახლი თავის მრავლისმნახველ ჩაქუჩს ო ჯეი სიმპსონის ქონებასაც გაატანს. ფული ამაგდარ მობურთალს სასამართლო ხარჯების გასასტუმრებლადა დასჭირვებია. სხვადასხვა რამე-რუმეულს შორის მსურველებს ო ჯეის ამ ნაომარი მაისურის შეძენაც შეეძლებათ. მისი საწყისი ფასი 900 დოლარი იქნება. ჰოდა, თუკი „ბუფალი ბილზისა“ და მისი ლეგენდარული 32-ე ნომრის ქომაგი ბრძანდებით, „თაგვი“ ინტერნეტზე მიგიწვდებათ და ჯიბეში ხსენებულზე ცოტა მეტი ტუგრიკიც გიძევთ — სცადეთ, იქნებ ამ საქმიდან რაიმე გამოვიდეს კიდეც!



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# თქვენი ჯერია ბავშვებო!

*იაპონელებს სჯერათ, რომ ღია ცის ქვეშ სიცივეში თამაში ბავშვებს სხეულს უკაჟებს. ბუდისტურ ტაძარ კოიასანის ეზოში ბაგირის გადაძლევაში მოპაექრე შიშველი გოგო-ბიჭებიც ამ რწმენის მსხვერპლნი არიან, თავის დროზე გაკაჟებული უფროსები კი, ამჟამად ჩათბუნებულნი ადევნებენ თამაშს თვალყურს.*



REUTERS ვაკაიამადან

# მარადონა: შაითანი ისტანბულში

ერთმა თურქულმა ტელეარხმა თავისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება დიეგო მარადონას დახმარებით გადაწყვიტა. შაითანმა თურქ ტელემაყურებელს კარგი გასართობი მოუწყო ჯერ პირმშვენიერ ტანიელისთან წაიმუცლითცეკვა, მერე კი თურქეთის ნაკრების წევრ ოქთაისთან ერთად ბურთით კეჭნაობაც გააჩაღა. საქმის ფინანსურ მხარეზე არაფერი თქმულა, არადა, ბარემ აქეთაა და... იქნებ მეზობელი სუფრისკენაც გადმოგვეპატიჟებინა.



REUTERS სტამბოლიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29